ევროკავშირი
საქართველოსთვის

ონის 2024-2028 წლების ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

2024 წ.

ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი

The Hague Academy for local governance

IRC Innovations and reforms Center

SGRC

ონის 2024-2028 წლების ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

2024

ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი

დათქმა

ონის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2024-2028 წლებისთვის შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრთან (SGRC) ერთად, და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

ცხრილები და დიაგრამები ..... - 4 -

ცხრილები ..... - 4 -

დიაგრამები ..... - 4 -

სტრატეგიაში გამოყენებული აკრონიმები და აბრევიატურები ..... - 5 -

შეჯამება ..... - 6 -

1. მეთოდოლოგია ..... - 10 -

2. LEADER მიდგომა და ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (LAG) ..... - 11 -

მოკლედ LEADER მიდგომის შესახებ ..... - 11 -

ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი ..... - 12 -

ონის LAG-ის შემადგენლობა ..... - 13 -

ონის LAG-ის მმართველობა და მართვა ..... - 14 -

3. ონის მუნიციპალიტეტის ფიზიკური გარემოს მიმოხილვა ..... - 16 -

3.1. ზოგადი დახასიათება ..... - 16 -

3.2. რელიეფი და ლანდშაფტი ..... - 16 -

3.3. ჰიდროგრაფიული ქსელი ..... - 17 -

3.4. კლიმატი ..... - 17 -

3.5. ნიადაგსაფარი ..... - 17 -

3.6. ჰიდრორესურსები და სასარგებლო წიაღისეული ..... - 18 -

4. სტრატეგიული მიმართულებები ..... - 20 -

5. ონის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული, სოციალური მდგომარეობა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულება ..... - 22 -

5.1. მოსახლეობა და დემოგრაფია ..... - 22 -

5.2. სოციალური მდგომარეობა ..... - 25 -

5.3. ახალგაზრდული მიმართულება ..... - 27 -

5.4. ონის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიის, სოციალური მდგომარეობისა და ახალგაზრდულ საკითხთა მიმართულების შეჯამება ..... - 30 -

5.5. SWOT ანალიზი ..... - 31 -

5.6. ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი და ამოცანები ..... - 32 -
6. სოფლის მეურნეობის მიმართულება ..... - 35 -
6.1. ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულების მიმოხილვა ..... - 35 -
6.2. ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის მიმართულების შეჯამება ..... - 39 -
6.3. SWOT ანალიზი ..... - 40 -
6.4. ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი და ამოცანები ..... - 41 -
7. ადგილობრივი ბიზნესის მიმართულება ..... - 44 -
7.1. ონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მიმართულების მიმოხილვა - 44 -
7.2. ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიზნესის მიმართულების შეჯამება .... - 48 -
7.3. SWOT ანალიზი ..... - 49 -
7.4. ონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ..... - 50 -
8. ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულება. - 54 -
8.1. ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულების მიმოხილვა ..... - 54 -
8.2. ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულების შეჯამება ..... - 60 -
8.3. SWOT ანალიზი ..... - 61 -
8.4. ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ..... - 63 -
9. სტრატეგიული ინტეგრაცია ..... - 66 -
10. მონაწილეობითი დაგეგმვა ..... - 67 -
10.1. დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა ..... - 67 -
11. მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება ..... - 70 -
I დონის შეფასება - სტრატეგიით განსაზღვრული ხედვა ..... - 70 -
II დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები ..... - 71 -
III დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები ..... - 71 -
IV დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები ..... - 71 -
მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეულები ..... - 72 -

ცხრილები და დიაგრამები

ცხრილები

ცხრილი #1: სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები

ცხრილი #2: ონის LAG-ის წევრთა გადანაწილება სექტორებს შორის

ცხრილი #3: მოსახლეობის მედიანური ასაკის შედარებითი ცხრილი

ცხრილი #4. 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (%) მთლიან მოსახლეობაში და მოსახლეობის ასაკის დატვირთვის კოეფიციენტი

ცხრილი #5: ბიზნეს სექტორი, დასაქმება და ხელფასები ონის მუნიციპალიტეტში

ცხრილი #6: მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეულები და პერიოდულობა

დიაგრამები

დიაგრამა #1: LEADER მიდგომის 7 ძირითადი მახასიათებელი

დიაგრამა #2: მოსახლეობის განაწილება სქესის და ქალაქი-სოფლის მიხედვით ონის მუნიციპალიტეტში

დიაგრამა #3: ონის მუნიციპალიტეტში წლის მანძილზე მოგზაურთა რაოდენობა

სტრატეგიაში გამოყენებული აკრონიმები და აბრევიატურები

CLLD	თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარება
ENPARD	სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
LAG	ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი
LDS	ადგილობრივი განვითარების სტრატეგია
LEADER	სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირი

შეჯამება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ონის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას (LDS) 2024-2028 წლებისთვის, რომელიც მოამზადა ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა სამოქმედო ჯგუფმა (LAG) ონის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების - სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების, ბიზნეს სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობითა და LEADER მიდგომის გამოყენებით. ადგილობრივი განვითარების სტრატეგია წარმოადგენს იმ ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის საქმიანობა.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია მომზადდა ევროკავშირის მიერ ENPARD IV პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში.

სტრატეგია ჩამოყალიბებულია ადგილობრივი საჭიროებების და პრიორიტეტების საფუძველზე, რომლებიც გამოვლინდა ფართომასშტაბიანი კვლევების, კონსულტაციებისა და საკონსულტაციო შეხვედრების შედეგად. კვლევაში მონაწილეობა მიიღო როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე თემატურმა ჯგუფებმა, რომლებმაც გაწერეს ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები, რომელთა გათვალისწინებით უნდა განვითარდეს ონის მუნიციპალიტეტი. ეს სტრატეგია მოიცავს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც მიმართულია როგორც **სოციალური ინტეგრაციის**, **ეკონომიკური განვითარების**, ასევე **გარემოსდაცვითი მდგრადობის** უზრუნველსაყოფად.

სტრატეგიის **მთავარი მიზანი** არის **მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება**, **ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება** და **ახალი სამუშაო ადგილების შექმნა**. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს **თანაბარ შესაძლებლობებს** როგორც **ადგილობრივ ფერმერებსა და მცირე მეწარმეებს**, ისე **ახალგაზრდა თაობასა და სოციალურად დაუცველ ჯგუფებს**. **დოკუმენტის საბოლოო მიზანია ონის მუნიციპალიტეტში განვითარებისა და კეთილდღეობის მაღალი დონის მიღწევა**, რაც ხელს შეუწყობს **მუნიციპალიტეტის მდგრადობას** და **სამომავლო ინიციატივების წარმატებას**. ამასთანავე, სტრატეგიის მიზანია მუნიცეპალიტეტის მოსახლეობისათვის გახდეს უფრო მკაფიო და ხედლშესახები, ევროკავშირის მხრიდან პროექტების დაფინანსების და მიზნების შესახებ.

სტრატეგიის **მოსალოდნელი შედეგები** მოიცავს:

- **მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას**;
- **სიღარიბის დონის შემცირებას** და სამუშაოს მაძიებელთათვის **ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნას**;
- **ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას** და **საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას**;

- **ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებასა** და **ახალი, თანამედროვე ინიციატივების დანერგვას**;
- **სოფლის მეურნეობის განვითარებას** და **საკვები პროდუქტების წარმოების ზრდას**;
- **ახალგაზრდების, მეწარმეების და ფერმერების ჩართულობის გაზრდას** და **მათთვის საგანმანათლებლო და პროფესიული შესაძლებლობების შექმნას**;
- **მდგრადი გარემოსდაცვითი ინიციატივების დანერგვას** და **ეკოლოგიური რესურსების დაცვას**.

სტრატეგია ითვალისწინებს **სამომავლო ხედვას**, სადაც

ონის მუნიციპალიტეტი გადაიქცევა ეკონომიკურად ძლიერ, სოციალურად გაერთიანებულ და გარემოსდაცვითად მდგრად ადგილად.

ამ დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტები და განვითარების მიზნები ემსახურება **ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას**, რაც ხელს შეუწყობს **მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დარჩენას**, **მიგრაციის შემცირებას.** ამ სტრატეგიის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ **ფართო სოციალური ჩართულობითა და ყველა დაინტერესებული მხარის ერთობლივი ძალისხმევით**, რაც უზრუნველყოფს **მუნიციპალიტეტის მდგრად და გრძელვადიან განვითარებას**. **სტრატეგიის წარმატებით განხორციელება** შესაძლებელია მხოლოდ **აქტიური ჩართულობითა** და **საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ერთობლივი ძალისხმევით**, რაც უზრუნველყოფს **მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიან და მდგრად პროცესს**.

ამ შედეგების მისაღებად სტრატეგიით განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები და შესაბამისი ამოცანები, რომლებიც მოცემულია ცხრილში#1.

ცხრილი #1: სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები

მიმართულება	მიზანი	ამოცანა
ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულება	**ახალგაზრდებისთვის ეკონომიკური საქმიანობისა და ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომელიც მათ ადგილზე გააქტიურებთ, წაახალისებს მათ მუნიციპალიტეტში დარჩენას და მისცემს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას.**	**ამოცანა #1:** თანამედროვე, ახალგაზრდების საჭიროებებსა და სურვილებზე მორგებული ახალგაზრდული ინფრასტრუქტურისა და ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა ონის მუნიციპალიტეტში
		ამოცანა #2: ახალგაზრდების ბიზნეს საქმიანობაში ჩართულობის ხარისხის (როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი) გაზრდა

		ამოცანა #3: ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა მუნიციპალიტეტის განვითარებასა და ახალგაზრდული საკითხების გადაწყვეტაში
სოფლის მეურნეობის მიმართულება	ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელიც დაფუძნებულია ეკოლოგიურად სუფთა წარმოებაზე, ტრადიციული დარგების გაძლიერებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე, რათა მოხდეს პროდუქტიულობის ზრდა, აგროტურიზმის განვითარება და ადგილობრივი პროდუქციის საექსპორტო ბაზრებზე დამკვიდრება.	**ამოცანა #1:** სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მიდგომების, ტექნოლოგიების, კლიმატ-მედეგი მიდგომების, ხარისხის კონტროლის, თანამშრომლობისა და ბრენდირების კუთხით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება
		ამოცანა #2: სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატების დანერგვის სტიმულირება
		ამოცანა #3: სოფლის მეურნეობის პროდუქციის კლიმატ-გონივრული დამამუშავებელი და გადამამუშავებელი წარმოების სტიმულირება
ადგილობრივი ბიზნესის მიმართულება	ონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა და მდგრადი განვითარება, რაც გულისხმობს ეკოლოგიურად სუფთა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას, კლიმატ-გონივრული ინოვაციების დანერგვას, მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებას და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, რითაც მუნიციპალიტეტი გახდება უფრო კონკურენტუნარიანი და ეკონომიკურად მდგრადი.	**ამოცანა #1:** მეწარმეობით დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობის აღჭურვა ბიზნესის წამოწყება-მართვის, დაფინანსების მოპოვებისა და კლიმატ-გონივრული გადაწყვეტების უნარებით
		ამოცანა #2: ბიზნესის დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებთან ადგილობრივი მოსახლეობის წვდომის გაუმჯობესება
		ამოცანა #3: ინოვაციური მდგრადი და კლიმატ-გონივრული ბიზნეს იდეების განხორციელების მხარდაჭერა
ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულება	ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მომსახურების ხარისხის ამაღლებას, კულტურული და ბუნებრივი შესაძლებლობების მდგრად პოპულარიზაციას, და ტურიზმის სეზონურობის პრობლემის მოგვარებას, რათა მუნიციპალიტეტი გახდეს მიმზიდველი ტურისტებისთვის მთელი წლის	**ამოცანა #1:** ონის მუნიციპალიტეტის, როგორც ოთხი სეზონისა და მრავალფეროვანი ტურისტული დანიშულების ადგილის, ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა
		ამოცანა #2: ტურიზმის სექტორში დასაქმებული/ტურიზმის სექტორით დაინტერესებული პირების შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება, მათ შორის ისეთ საკითხებში, როგორიცაა მდგრადი ტურიზმი და ბუნებრივ საფრთხეებზე

განმავლობაში.	რეაგირება
	ამოცანა #3: ტურისტული პროდუქტებისა და ტურიზმის სექტორში ბიზნესის მდგრადი და კლიმატ-გონივრული განვითარების ხელშეწყობა

1. მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას (LDS) 2024-2028 წლებისთვის, რომელიც მოამზადა ონის ადგილობრივმა სამოქმედო ჯგუფმა (LAG) ევროკავშირის LEADER/CLLD მიდგომის გამოყენებით.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია მომზადდა პროექტის **„მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“** მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, ევროკავშირის დაფინანსებით ENPARD 4 პროგრამის ფარგლებში. დოკუმენტის მომზადების პროცესში ჩართული იყო სამოქალაქო საზოგადოება, სამეწარმეო და საჯარო სექტორების წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. ადგილობრივი განვითარების სტრატეგია წარმოადგენს იმ ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის საქმიანობა.

ონის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია არის ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ხედვა მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით:

ონის მუნიციპალიტეტი გადაიქცევა ეკონომიკურად ძლიერ, სოციალურად გაერთიანებულ და გარემოსდაცვითად მდგრად ადგილად.

სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა თანამონაწილეობრივი დაგეგმარების გზით.

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება LEADER/CLLD მიდგომასა და პრინციპებს, რაც გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების უკეთ შეფასებისა და წინა პლანზე წამოწევის თვალსაზრისით, სამუშაო პროცესში ადგილობრივთა მრავალმხრივი ჩართულობის უზრუნველყოფას. სტრატეგიის შემუშავების პირველივე ეტაპზე, პროექტის **„მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“** ფარგლებში, ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის და მისი მმართველი საბჭოს წევრებმა გაიარეს 4-დღიანი ტრენინგი LEADER მიდგომაში, LAG-ების როლსა და ადგილობრივი განვითარების მნიშვნელოვან საკითხებზე.

სტრატეგიის სიტუაციური ანალიზის ნაწილი მოიცავს ონის მუნიციპალიტეტში სხავადასხვა თემატური მიმართულებებით არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგებს. სიტუაციური ანალიზის მომზადებისას, გარდა მუნიციპალიტეტის, რეგიონისა და სახელმწიფოს დონეზე შემუშავებული დოკუმენტების ანალიზისა, ჩატარდა თვისებრივი კვლევა და დარგების მიხედვით მომზადდა ე.წ. SWOT, სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით. SWOT ანალიზში დეტალურად არის განხილული მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სფეროები, რის შედეგადაც გამოიკვეთა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამოქმედო არეალი.

2. LEADER მიდგომა და ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (LAG)

მოკლედ LEADER მიდგომის შესახებ

LEADER (სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირი) წარმოადგენს ევროპულ პროგრამას, რომლის მიზანია სოფლის ტიპის დასახლებებში ადგილობრივი აქტორების ჩართვა საკუთარი რეგიონების განვითარებაში. ეს პროგრამა უკვე თითქმის 30 წელია რაც არსებობს და წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში. ამ მიდგომის რეალიზაციისთვის იქმნება ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები (LAG), რომლებიც შეიმუშავებენ და ახორციელებენ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებს[1].

დიაგრამა #1: LEADER მიდგომის 7 ძირითადი მახასიათებელი



სტრატეგიის შემუშავების მომენტისთვის საქართველოში უკვე დაფუძნებულია 22 LAG. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში დაფუძნებულია 4 LAG - ონის, ამბროლაურის, ცაგერის და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში, რომლებიც ფარავენ შესაბამისი მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს სრულად.

[1] ევროპის LEADER ასოციაცია ადგილობრივი განვითარებისთვის (ELARD). ხელმისაწვდომია: http://elard.eu/organization/

ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი

ონის ადგილობრივი საქმოდმედო ჯგუფი დაფუძნდა 2024 წლის 31 იანვარს როგორც წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ონის LAG შექმნილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად და საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და მისი წესდების მიხედვით. ონის LAG-ის მიზანია:

„ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება“.

მიზნის მისაღწევად LAG-ს განსაზღვრული აქვს ამოცანები, რომლებიც მოიცავს:

- ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობითი კულტურის გაძლიერება, მათი შესაძლებლობებისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესება სოფლის განვითარების სხვადასხვა, პრიორიტეტულ სფეროებში;
- სოფელში, მუნიციპალიტეტში დასაქმებისა და შემოსავლის მომტანი შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილობრივი ახალგაზრდების როლისა და ჩართულობის გაძლიერება; ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება-მხარდაჭერა;
- ადგილობრივი მოსახლეობის როლის გაზრდა სოფლის განვითარებაში;
- სამოქალაქო, სამეწარმეო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა სოფლის განვითარებისთვის;
- მეწარმეობის, ორგანული სოფლის მეურნეობის, ეკოტურიზმის და მუნიციპალიტეტისთვის სხვა აქტუალური
- სურსათის უვნებლობის, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება;
- ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა, ციფრული სერვისების გაუმჯობესება-დანერგვის მხარდაჭერა;
- ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა სოფლის განვითარების სხვადასხვა, პრიორიტეტულ სფეროებში;
- სოფლის, მუნიციპალიტეტის, რეგიონის და მისი საინვესტიციო მიმზიდველობის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

ამოცანების მისაღწევად ონის LAG-ს შეუძლია შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

- ✓ საინფორმაციო-საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა
- ✓ საჯარო, სამეწარმეო და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის ხელშეწყობა
- ✓ დაინტერესებულ მხარეებთან, პროფესიულ ჯგუფებთან, პოტენციურ პარტნიორებთან, სხვა ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებთან კავშირების დამყარება -

ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, ერთობლივი ინიციატივებისა და ღონისძიებების განხორციელებისთვის

- ✓ სოფლის, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის ინოვაციური მიდგომების წახალისება-მხარდაჭერა
- ✓ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელებისთვის ფინანსური რესურსების მოძიება-მოზიდვა და პროექტების განხორციელება
- ✓ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელებისთვის ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერა - საგრანტო კონკურსის ჩატარება, პროექტის შერჩევა, გრანტების გაცემა და პროექტის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება
- ✓ დონორ ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება და მათი ინფორმირება წარმატებული პროექტებისა და ახალი ინიციატივების შესახებ

ონის LAG-ს, ასევე, შეუძლია კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება, მათ შორის დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რაც დაკავშირებულია მისი მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან.

ონის LAG-ის შემადგენლობა

ონის LAG დაფუძნებულია სამოქალაქო, სამეწარმეო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების მიერ ერთობლივად და მისი შემადგენლობა უზრუნველყოფს სამივე სექტორის ინტერესების თანაბრად დაცვას. ორგანიზაციის წესდების თანახმად, LAG-ის წევრთა რაოდენობა საჯარო სექტორიდან არ შეიძლება აღემატებოდეს ორგანიზაციის წევრთა საერთო რაოდენობის 49%.

ცხრილი #2: ონის LAG-ის წევრთა გადანაწილება სექტორებს შორის

სექტორი	**წევრთა რაოდენობა**		**სამოქალაქო და სამეწარმეო სექტორი ერთად**
	რაოდენობა	**%**	
საჯარო სექტორი	16	33,3 %	
სამოქალაქო სექტორი	21	43,8 %	**66,7 %**
სამეწარმეო სექტორი	11	22,9 %	
სულ	**48**	**100 %**	

ონის LAG-ის მმართველობა და მართვა

LAG-ის საერთო კრება

ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საერთო კრება, რომელიც შედგება მისი ყველა წევრისგან. შესაბამისად, სტრატეგიის შემუშავების მომენტისთვის საერთო კრების შემადგენლობა განსაზღვრულია 48 წევრით.

გეგმიური საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კრების რიგგარეშე მოწვევა. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის სტრატეგიულ საკითხებზე და ასევე ისმენს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშებს.

საერთო კრება უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი და გადაწყვეტილების მიღება ხდება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით. მიღებულ გადაწყვეტილებაში ხმათა სულ მცირე 50% უნდა ეკუთვნოდეს არასაჯარო სექტორის წარმომადგენელ-წევრებს. წესდებით დამატებითი პირობებია განსაზღვრული წესდებაში ცვლილებების შეტანის, ორგანიზაციის რეორგანიზაციის, შერწყმა-გაყოფისა და ლიკვიდაციის შემთხვევაში.

საერთო კრების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის მმართველი საბჭო, რომელიც LAG-ის მმართველ ორგანოს წარმოადგენს. მმართველ საბჭოს ერთი წლის ვადით, ფარული კენჭისწყრის გზით ირჩევს საერთო კრება.

მმართველი საბჭო

მმართველი საბჭო პასუხისმგებელია საერთო კრების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, განსაზღვრავს ორგანიზაციის სტრატეგიას და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საერთო კრების წინაშე.

ონის LAG-ის მმართველი საბჭო შედგება საერთო კრების მიერ არჩეული 9 წევრისგან. მმართველი საბჭოში სამოქალაქო, სამეწარმეო და საჯარო სექტორები წარმოდგენილი არიან თანაბარი რაოდენობით - თითოეული სექტორი 3 წარმომადგენლით.

მმართველი საბჭოს სხდომები იმართება ყოველთვიურად და მის სხდომებს უძღვება მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის პირობებში მმართველი საბჭოს უხუცესი წევრი.

მმართველი საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი და მის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით. მიღებულ გადაწყვეტილებაში ხმათა სულ მცირე 50% უნდა ეკუთვნოდეს არასაჯარო სექტორის წარმომადგენელ-წევრებს.

მმართველი საბჭო ირჩევს მმართველი საბჭოს თავმჯდომარეს მმართველი საბჭოს წევრთაგან და ზედამხედველობას უწევს მის საქმიანობას, ამტკიცებს ორგანიზაციის სტრუქტურასა და ბიუჯეტს, ამტკიცებს ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებსა და განვითარების გეგმას, პასუხისმგებელია წესდებაში შესატანი ცვლილებების/ახალი წესდების შემუშავება-საერთო კრებისთვის წარდგენაზე; შეიმუშავებს და ამტკიცებს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას; ქმნის სამუშაო ჯგუფებს, კომიტეტებს, კომისიებს კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად. შეიმუშავებს და ამტკიცებს მათ სახელმძღვანელო წესებს, შემადგენლობასა და პასუხისმგებლობებს, ამტკიცებს ორგანიზაციის ლოგოსა და სიმბოლიკას, წყვეტს ორგანიზაციის სხვა გაერთიანებებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს.

ორგანიზაციული დეტალები

ორგანიზაციის სახელწოდება	ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი Oni Local Action Group
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
მისამართი	ონის მუნიციპალიტეტი, , ქალაქი ონი, გიორგი სააკაძის ქუჩა, N 5
ტელეფონის ნომერი	+995 555409056
ელ. ფოსტა	info@onilag.ge
ვებ გვერდი	www.onilag.ge
საკონტაქტო პირი	მამუკა მეტრეველი, მმართველი საბჭოს თავმჯდომარე

3. ონის მუნიციპალიტეტის ფიზიკური გარემოს მიმოხილვა

3.1. ზოგადი დახასიათება

ონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო–აღმოსავლეთ ნაწილში და წარმოადგენს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში. ონის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ამბროლაურისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით, საჩხერის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთიდან რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ჯავის რაიონი, ხოლო ჩრდილოეთით - რუსეთის ფედერაცია, კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკები ესაზღვრება.

ონის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 1 359.4 კვ.კმ. ონის აერთიანებს ერთ ქალაქს (ონს) და 64 სოფელს, რომლებიც 19 ადმინისტრაციულ ერთეულად არიან გაერთიანებული.

დაშორება დედაქალაქიდან **220 კმ.**	დაშორება უახლოესი სარკინიგზო სადგურიდან (ტყიბული) **64 კმ**	დაშორება უახლოესი აეროპორტიდან (ამბროლაური) **30 კმ.**	ყველაზე ახლოს მდებარე დიდი ქალაქი - ქუთაისი **103 კმ.**

3.2. რელიეფი და ლანდშაფტი

სიმაღლე მერყეობს ზღვის დონიდან 600-დან 4 462 მეტრამდე

ონის მუნიციპალიტეტის რელიეფი მთაგორიანია. ჩრდილო ნაწილი (ფასის მთისა და ჭანჭახის მწვერვალებს შორის) უჭირავს რაჭა-ლეჩხუმის (ცენტრალური) კავკასიონის ქედს, რომლის სამხრეთი კალთა აგებულია იურული თიხა-ფიქალებით და ქვიშა-ქვებით, თხემური ზონა-პალეოზურ-კამბრილის წინა გრანიტოიტებითა და კრისტალური ფიქლებით. მთავარი ქედის უმაღლესი ადგილია მწვერვალი ჭანჭახი (4 462 მეტრი). 3 000 მეტრზე მაღალი მწვერვალებია: ფასის მთა, წითელი მთა, ლაბოდა, ტაიმაზი, ყარაუგომი და სხვა.

მნიშვნელოვანი უღელტეხილებია: გეზევცეკის, ღების, გურძიევცეკის, მამისონის, ლაფურის, და სხვა.

3.3. ჰიდროგრაფიული ქსელი

მუნიციპალიტეტი მდიდარია მინერალური მიწისქვეშა წყლებით. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰიდროგრაფიული ქსელის მთავარ არტერიას მდ. რიონი წარმოადგენს, რომელიც მუნიციპალიტეტის საზღვრებში 75 კმ. მანძილზე გაედინება. მუნიციპალიტეტში გავრცელებულია ფოროვან-ფენებრივი, ნაპრალურ-ფენებრივი და კარსტული ტიპის ღრმა ცირკულაციის მიწისქვეშა წყლები, რომელთა შორის ჭარბობს ინფილტრაციული წყლები. მდინარე რიონის საზღვრებში წყლის ბუნებრივი რესურსი არის 2,079კუბ.მ./დღღ15. მინერალური და სუფრის წყლის ჩამოსხმის პოტენციალის გარდა ონის მუნიციპალიტეტის მინერალური წყლის რესურსებს სამკურნალო-სარეკრეაციო და ტურისტული ფუნქცია გააჩნიათ. მოთხოვნა მუნიციპალიტეტში არსებულ სასმელ-სამკურნალო წყალზე შეადგენს 0,016518 კუბ.მ./დღ.ღ.16. მუნიციპალიტეტში არის ბუნებრივი წყლების ჭარბი რესურსი - 1,022482 კუბ.მ./დღ.ღ.17-ის ოდენობით.

3.4. კლიმატი

ონის მუნიციპალიტეტი (ზემო რაჭა) ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის არეალში მდებარეობს, რომელსაც სიმაღლებრივი ზონალურობა ახასიათებს: დაახლოებით 300-900მ სიმაღლის ზონაში ჰავა ზომიერად ნოტიოა, ახასიათებს ცივი ზამთარი და თბილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 10°C, იანვარში -1°C, ივლისში 20,4°C, აბსოლუტური მინიმუმი –27°C-ს, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი +36°C-ს აღწევს. წლიური ნალექი 1 000-1 100 მმ.-ს შეადგენს. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულზე მოდის, მინიმუმი – ზაფხულში. მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალ ადგილებში მაღალმთის კლიმატია, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით.

3.5. ნიადაგსაფარი

მთლიანობაში, რაჭაში სახნავი მიწების უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია მდინარეთა ხეობების ტერასებთან და პროლუვიურ, აკუმულაციურ ვაკეებთან, რომელთაც სწორი და მცირე დახრილობის ზედაპირი ახასიათებთ. მდ. რიონის ჭალები და ჭალისზედა ტერასები სწორედ ასეთ აკუმულაციურ ვაკეებს წარმოადგენენ და ნაყოფიერი, ალუვიური ნიადაგებით არიან დაფარული. მცირე დახრილობის – 0-50 და კარგი დანესტიანების გამო, ეს მიწები ხელსაყრელია მარცვლოვანი კულტურებისათვის და მასზე სიმინდი მოჰყავთ. შედარებით მცირე ფართობები უკავია მრავალწლიან ნარგავობას - ვენახს და ხეხილის ბაღებს. მევენახეობის არაორდინალური პროდუქცია რაიონში ამ კულტურით დაკავებული

ფართობების ზრდის გარანტიაა. ვაზისათვის და ხეხილის ნარგავებისათვის ასეთი გამოზიდვის კონუსები და სამხრეთი ექსპოზიციის, კარგად განათებული ფერდობები საუკეთესო ეკოლოგიურ გარემოს ქმნის. ამიტომ ეს ზოლი თავისი ნიადაგური და ჰიდროთერმული პირობების მიხედვით, მევენახეობისათვის იდეალურ მონაკვეთად შეიძლება ჩაითვალოს.

ანთროპოგენური ზემოქმედება ძირითადად პირუტყვის ძოვებით გამოიხატება, რაც უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის სიმძლავრეზე და აღდგენადობაზე. შედეგად განვითარებულია მეწყრები, უკუსვლითი ეროზია, ჩაქცევები და ქვათაცვენები, რაც იწვევს ბედლენდების წარმოქმნას. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ზოლში არსებული წყლის ნაკადები უმეტესწილად ღვარცოფულ ხევებს წარმოადგენენ, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას როგორც მათ აუზში მდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ისე დასახლებულ პუნქტებს. მდ. რიონის მარცხენა ფერდობი ასევე არ გამოირჩევა სახნავი მიწების სიჭარბით. აქ მეტწილად წარმოდგენილია საშუალო დახრილობის უსწორმასწორო ფერდობები, რომლებიც ძველი ტერასებით ან მეწყრული სხეულების მოვაკებული ზედაპირებით იცვლება. ისინი უმეტესწილად დაფარულია მურყნარით და ფიჭვნარ-ეკალღიჭიანი ამონაყრით. აქ განვითარებულია აქტიური მეწყრული პროცესები, რაც ამცირებს მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ტერიტორიის ფართობს. სახნავად გამოიყენება შედარებით დამრეცი ფერდობები, რომელზეც სიმინდი, ლობიო, კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებია წარმოდგენილი. ხეხილისათვის და ვენახებისათვის შედარებით მშრალი და კარგად განათებული ფერდობები გამოიყენება.

3.6. ჰიდრორესურსები და სასარგებლო წიაღისეული

ონის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით, რომელიც წარმოდგენილია უხვი ზედაპირული და მიწისქვეშა (მტკნარი და მინერალური) წყლებით. მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეა რიონი და მისი შენაკადები. ონის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი წყალუხვი მუნიციპალიტეტია საქართველოში (მუნიციპალიტეტის მასშტაბით 37 მდინარე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ოთხი ჰიდროელექტროსადგური:

- „ზვარეთჰესი“ - სიმძლავრე 0.26 მგვტ.
- „ხეორიჰესი“ - სიმძლავრე 1.41 მგვტ.
- „ბერალი ჰესი“ - სიმძლავრე 0.9 მგვტ.
- „ჩორდულა ჰესი“ - სიმძლავრე 1.9 მგვტ.

2024 წელს იგეგმება 14.5 მგვტ. სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „ჭიორაჰესის“ ექსპლუატაციაში შესვლა.

ონის მუნიციპალიტეს გააჩნია ახალი ჰესების მშენებლობის პოტენციალი. მუნიციპალიტეტში არსებობს წყლის ბუნებრივი რესურსი - 1.022482 მლნ.მ^3/დღღ. ოდენობით.

ონის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის დიდი ნაწილი თავმოყრილია მდ. რიონის ხეობის ზემო ნაწილში, სოფლების - ღების, ჭიორისა და გონის ტერიტორიაზე. მოცემულ ტერიტორიაზე გვხვდება შემდეგი სახის წიაღისეული: მოლიბდენი, სურმა, სტიბიუმი, ვოლფრამი, ვერცხლისწყალი, ოქრო, სპილენძი, კვარცი (მთის ბროლი), დიაბაზი, მეწამულის ქვა, კირქვა და კარბონატული ფიქალი, თიხა და ქვიშა ფიქალები, მინალექი, ნარიყი წარმოშობის ქანები, მინერალური წყლები, ტყე (წიწვოვანი, ფოთლოვანი). წიაღისეულით მდიდარია მდ. ჯეჯორისა და ხეორის ხეობები, სადაც არის ბარიტის, თაბაშირის, თუთიის, სილიკო მარგანეცისა და რკინის საბადოები.

ადგილობრივ მოსახლეობასთან და დაინტერესებულ მხარებთან სტრატეგიის მომზადების პროცესში მსჯელობის დროს გამოიკვეთა არსებითი წუხილები სოფელ შქმერში მარგანეცის მოპოვებისთვის გაცემული ლიცენზიებისა და მისი კარიერული წესით მოპოვებასთან დაკავშირებით; პარალელები იქნა გავლებული ჭიათურაში არსებულ მდგომარეობასთან და აღინიშნა, რომ თუ მარანეცის მოპოვება დაიწყება, ის შეუძლებელს გახდის შქმერისა და მრავალძალის მდგრად განვითარებას და საფრთხეს შეუქმნის ზოგადად, მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობას.

4. სტრატეგიული მიმართულებები

სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, რომელიც მონაწილეობით პრინციპს ეფუძნებოდა და რომელშიც ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ბიზნეს, საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ოთხი კრიტიკული საკითხი გამოიკვეთა, რომელზეც მიზანშეწონილი იყო ონის მუნიციპალიტეტის 2024-2028 წლების სტრატეგიის ფოკუსირება:

I. ონის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული, სოციალური მდგომარეობა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულება

II. ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულება

III. ონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მიმართულება

IV. ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულება

I. **დემოგრაფიული, სოციალური მდგომარეობა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულება** - ამ პრიორიტეტული მიმართულების არჩევა განპირობებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირებით, მაღალი მიგრაციის მაჩვენებლებითა და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის გადინების ტენდენციით. ონის მუნიციპალიტეტში 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი 30%-ს აღწევს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს საშუალო მაჩვენებელს. შობადობისა და ბუნებრივი მატების დაბალი მაჩვენებლები ამძიმებს სოციალურ მდგომარეობას და ხელს უშლის მოსახლეობის სტაბილიზაციას. შესაბამისად, აუცილებელია ინიციატივების განხორციელება, რომლებიც ახალგაზრდებს უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობებით, ასევე ხელს შეუწყობს სოციალურ პირობების გაუმჯობესებას, რათა შემცირდეს მიგრაცია და გაუმჯობესდეს მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა.

II. **სოფლის მეურნეობა** - ონის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა უნიკალური სასოფლო-სამეურნეო რესურსებით, რომლებიც მეტწილად ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა წარმოებისთვის არის ხელსაყრელი. თუმცა, სოფლის მეურნეობის სექტორი საჭიროებს სტრუქტურულ გაძლიერებას, რათა დაიძლიოს დაბალი პროდუქტიულობისა და მცირე მიწიანი რესურსების გამოწვევები. სოფლის მეურნეობა, როგორც მთავარი ეკონომიკური სეგმენტი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონის მოსახლეობის შემოსავლების უზრუნველყოფასა და ეკონომიკური სტაბილურობის შექმნაში. ამ მიმართულების გაძლიერება დაეხმარება ადგილობრივ ფერმერებს, გაზარდონ წარმოების მოცულობა და ხარისხი, რაც ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს.

III. **ადგილობრივი ბიზნესი** - მუნიციპალიტეტის ეკონომიკა დაბალ დონეზეა განვითარებული, რაც ხელს უშლის დასაქმების შესაძლებლობების შექმნას და მოსახლეობის სოციალურ სტაბილურობას. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტიმულირება და ახალი ინვესტიციების მოზიდვა ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას. ბიზნესის გაძლიერება დაეხმარება მუნიციპალიტეტს ეკონომიკური სტაგნაციის დაძლევაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსახლეობის მიგრაციის შემცირებას. ბიზნესის განვითარება ასევე უშუალოდ უკავშირდება სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროს, რადგან ადგილობრივი მეწარმეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტურისტული პროდუქტების შექმნასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაში.

IV. **ტურიზმის სექტორი** - ტურიზმის განვითარების პრიორიტეტი განპირობებულია ონის მუნიციპალიტეტის უნიკალური ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობით. მუნიციპალიტეტის ტყეები, მდინარეები და ალპური მინდვრები ქმნის დიდ ეკოტურისტულ და სათავგადასავლო ტურიზმის შესაძლებლობებს. თუმცა, ინფრასტრუქტურის არარსებობა და სერვისების დაბალი დონე ხელს უშლის ტურისტების მოზიდვას. ტურიზმის სექტორის განვითარება არა მხოლოდ გაზრდის რეგიონის ცნობადობას, არამედ გახდება ეკონომიკური ზრდის სტიმული, რაც ხელს შეუწყობს სხვა სექტორების გაძლიერებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

ეს ოთხი მიმართულება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია და მათი ინტეგრირებული განვითარება უზრუნველყოფს ონის მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევას, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და მდგრადი განვითარების საფუძვლის შექმნას.

5. ონის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული, სოციალური მდგომარეობა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულება

5.1. მოსახლეობა და დემოგრაფია

ონის მუნიციპალიტეტი მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს მცირერიცხოვან მუნიციპალიტეტებს მიეკუთვნება. მისი მოსახლეობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2024 წლის 1 იანვრის მონაცემებით, 5,3 ათას კაცს შეადგენდა. 2014 წლის შემდეგ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 15.7%-ით არის შემცირებული[2]. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 52%-ზე მეტს შეადგენდნენ ქალები (ქალაქად - 54%-ს, ხოლო სოფლად - 52%-ს). საქართველოს მუნიციპალიტეტებში ონზე მცირე მოსახლეობა მხოლოდ ლენტეხის (3,8 ათასი) და ყაზბეგის (3,8 ათასი) მუნიციპალიტეტებშია[3]. ამასთან, ქალაქი ონი ყველაზე დიდი საქალაქო კატეგორიის დასახლება არის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში. ქ. ონში ცხოვრობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 47.2%-ი, რაც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ურბანული მოსახლეობის 38%-ია. ამასთანავე, ქ. ონში მცხოვრები მოსახლეობის წილი ორ ათწლეულზე მეტია იზრდება და 2014-დან 2024 წლების პერიოდში ზრდამ შეადგინა 4%, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სოფლებიდან ქალაქ ონში გადადიან საცხოვრებლად[4].

დიაგრამა #2: მოსახლეობის განაწილება სქესის და ქალაქი-სოფლის მიხედვით ონის მუნიციპალიტეტში



[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *მოსახლეობის რიცხვოვნობა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით, 1 იანვრის მდგომარეობით.* ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/oni.php?lang=ka

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.* ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/737/mosakhleobis-2014-tslis-saqoveltao-aghtseris-shedegebi

[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *სტატისტიკური ინფორმაცია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტის შესახებ.* ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/oni.php?lang=ka

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მედიანური ასაკი მხარეში მაღალი იყო სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით (ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გარდა), ხოლო სოფლად მედიანური ასაკი მაღალია მხარის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით.

ცხრილი #3: მოსახლეობის მედიანური ასაკის შედარებითი ცხრილი[5]

	ორივე სქესი	კაცი	ქალი
მედიანური ასაკი ონის მუნიციპალიტეტში	53	48	56
მედიანური ასაკი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	53	50	56
მედიანური ასაკი ლენტეხის მუნიციპალიტეტში	46	42	50
მედიანური ასაკი ცაგერის მუნიციპალიტეტში	51	48	54
მედიანური ასაკი რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში	51	48	55
მედიანური ასაკი საქართველოში	37	34	40

65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 30.1%-ს შეადგენს მუნიციპალიტეტის მთლიან მოსახლეობაში. ეს მაჩვენებელი მაღალია, როგორც მხარის საშუალო მაჩვენებელთან, ასევე მეზობელ მუნიციპალიტეტებთან შედარებით. ონის მუნიციპალიტეტში ასევე მაღალია მოსახლეობის ასაკის დატვირთვის კოეფიციენტები მეზობელ მუნიციპალიტეტებთან შედარებით.

ცხრილი #4. 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (%) მთლიან მოსახლეობაში და მოსახლეობის ასაკის დატვირთვის კოეფიციენტი[6]

მუნიციპალიტეტი	65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (%) მთლიან მოსახლეობაში	მოსახლეობის ასაკის დატვირთვის კოეფიციენტი
ონი	30,1	71,4
ლენტეხი	23.1	64,2
ყაზბეგი	18,9	53,5

[5] *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

[6] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები.

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 88.5%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებლი მაღალია მხარის საშუალო მაჩვენებელთან (87.9%) და ლენტეხისა (84%) და ყაზბეგის (84.1%)[7].

ონის მუნიციპალიტეტში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნება მოსახლეობის 1 000 კაცზე) და ბუნებრივი მატების კოეფიციენტი დაბალია მსგავსი სიდიდის მუნიციპალიტეტებთან (ლენტეხის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებთან) შედარებით. ბოლო ხუთი წლის მონაცემების მიხედვით (2019-2023), შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საშუალოდ 8.8-ს შეადგენდა; ამასთანავე, 2022-2023 წლებში შობადობის კოეფიციენტი სოფლად (2022 წელს - 9 და 2023 წელს - 9.6) მნიშვნელოვნად უსწრებდა შობადობის კოეფიციენტს ქალაქ ონში (2022 წელს - 8.3 და 2023 წელს - 7.2). რაც შეეხება მოკვდაობის კოეფიციენტს (გარდაცვალების რიცხვოვნობა მოსახლეობის 1 000 კაცზე), მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია ონის მუნიციპალიტეტისთვის და 2019-2023 წლებში საშუალოდ შეადგინა 27.7. აქვე, აღსანიშნავია მოკვდაობის კოეფიციენტებში არსებითი სხვაობა სასოფლო დასახლებასა და ქალაქ ონს შორის - 2019-2023 წლებში მოკვდაობის კოეფიციენტი ონის მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებებში საშუალოდ შეადგენდა 35.4, ხოლო ამავე პერიოდში ქალაქ ონში - 18.8.[8] ეს განსხვავება გარკვეულწილად აიხსნება იმით, რომ ურბანული ცენტრში შედარებით ახალგაზრდები მიდიან, ხოლო სოფლად რჩებიან შედარებით ასაკოვანი ადამიანები.

საერთო ჯამში ონის მუნიციპალიტეტში, მსგავსად საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების უმრავლესობისა, აღინიშნება ბუნებრივი კლების[9] ტენდენცია; 2019-2023 წლებში ბუნებრივი კლების შედეგად მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შემცირდა 523 ადამიანით.[10]

2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერით ონის შინამეურნეობების ზომა საშუალოდ 2,4 ადამიანს შეადგენს.

ონის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების უმეტეს ნაწილში უმწვავესად დგას მიგრაციის საკითხი. ცხადია, მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის გადინებას (განსაკუთრებთ კი შრომისუნარიანი და ახალგაზრდა თაობის) გააჩნია გამომწვევი მიზეზები. პირველყოვლისა, ეს არის მუნიციპალიტეტში ეკონომიკის განვითარების დაბალი ტემპი. ბიზნესის განვითარების არასაკმარისმა დონემ, სამუშაო ადგილების სიმცირემ და დაბალანაზრაურებად სამუშაო ადგილებზე მუშაობამ განაპირობა ახალგაზრდა და შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია სხვა მუნიციპალიტეტებსა და დიდ ქალაქებში. ასევე, გასათვალისწინებელია უმაღლესი განათლების მისაღებად და სასწავლო პროგრამებში ჩართულობის მიზნით გამოწვეული მიგრაცია. მწვავედ დგას,

---

[7] იქვე

[8] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *სტატისტიკური ინფორმაცია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტის შესახებ.* ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/oni.php?lang=ka

[9] როდესაც გარდაცვალებულთა რიცხვი აჭარბებს ცოცხლად დაბადებულთა რიცხვს

[10] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *სტატისტიკური ინფორმაცია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტის შესახებ.* ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/oni.php?lang=ka

განათლების მიღების შემდგომ ახალგაზრდების ონის მუნიციპალიტეტში დაბრუნების საკითხი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული უარყოფითად აისახება მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, მთის სტატუსის შემოღების შემდეგ, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მაღალმთიან დასახლებებში სხვადასხვა სოციალურ დახმარებებსა და ბიზნეს სუბიექტების მიმართ საგადასახადო შეღავათებს ითვალისწინებს, პოზიტიური გავლენა მოახდინა მუნიციპალიტეტში მოსახლეობის დაბრუნებაზე.

2022 წელს ონის მუნიციპალიტეტიდან სხვა მუნიციპალიტეტში გადარეგისტრირებულთა რაოდენობამ შეადგინა 11 პირი, ხოლო ონის მუნიციპალიტეტში სხვა მუნიციპალიტეტიდან გადმორეგისტრირებულთა რაოდენობამ (მთის სტატუსით) - 50 პირი. მუნიციპალიტეტში 106 დევნილი (მათ შორის, 55 ქალი) და 17 ეკომიგრანტი ცხოვრობს.

5.2. სოციალური მდგომარეობა

ონის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება შემდეგი სოციალური პროგრამები[11]:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვის მომსახურების გაუმჯობესება;
- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცულობის გაზრდა;
- 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის გაუმჯობესება;
- სამამულო ომის ვეტერანებზე და საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი სოციალური დაცვის უზრუნველყოფა;
- მარჩენალდაკარგული ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებით გაცემული დახმარება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა;
- ბინის ქირით უზრუნველყოფა უსახლკაროთათვის, ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისთვის ერთჯერადი დახმარება გათბობის სეზონთან დაკავშირებით.

ონის მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა უმნიშნელოდ იცვლებოდა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე და 2023 ბოლოს შეადგინა 244 პირი. რაც შეეხება ყველა სახის პენსიის მიმღებთა რაოდენობას, 2014 წლიდან 2023 წლის ბოლომდე მაჩვენებელი შემცირდა 12%-ით და შეადგინა 1 882 პირი.[12]

[11] ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართი. ხელმისაწვდომია: https://oni.gov.ge/biujeti/

[12] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *სტატისტიკური ინფორმაცია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტის შესახებ.* ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/oni.php?lang=ka

ონის მუნიციპალიტეტში საკმაოდ მაღალია საარსებო შემწეობის მიღებაზე რეგისტრირებული და შემწეობის მიმღებთა რიცხვი - 2023 წელს რეგისტრირებული იყო 1 735 ოჯახი და საარსებო შემწეობას იღებდა 844 ოჯახი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ როგორც რეგისტრირებულთა, ასევე მიმღებთა რიცხვი მნიშნელოვნადაა შემცირებული 2014-2023 წლების პერიოდში - რეგისტრირებულთა რიცხვი 29%-ით, ხოლო მიმღებთა რიცხვი - 44%-ით.[13]

მუნიციპალიტეტს ემსახურება სასწრაფო დახმარების ორი ბრიგადა, რაც სრულად აკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოთხოვნებს, გარდა ზაფხულის ტურისტულად აქტიურ სეზონისა. ზაფხულის პერიოდში, დღე-ღამის განმავლობაში ერთ ბრიგადაზე 6-8 ან მეტი გამოძახება ფიქსირდება. წლის სხვა დროს - 3-4 გამოძახება. ონის მუნიციპალიტეტში საავადმყოფო საწოლების რაოდენობა და ჯანდაცვის პერსონალის რიცხოვნობა მოსახლეობის 1000 კაცზე ჩამორჩება ლენტეხისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებს. ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე ყველა სოფელი უზრუნველყოფილია ექიმის მომსახურებით, დასაქმებული ექიმები პარალელურად მუშაობენ სასწრაფოსა და საავადმყოფოში, რაც სამედიცინო მომსახურების ხარისხს აუარესებს. ონის საავადმყოფო განიცდის ექიმების უკმარისობას, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამკურნალოდ მუნიციპალიტეტის გარეთ გასვლას.

სასმელი წყლის შიდა ქსელი მოწყობილია ყველა დასახლებულ პუნქტში, თუმცა, უმეტესი ნაწილი მოძველებულია და საჭიროებს შეცვლა-რეაბილიტაციას. წყალმომარაგებისათვის პრობლემურ ზონას წარმოადგენს ფარახეთისა და კვაშხიეთის თემში შემავალი 9 სოფელი (შარდომეთი, ფარახეთი, სევა, ახალი ჩორდი, ჭიბრევი, ხეითი, ზვარეთი, ჯოისუბანი, ზუდალი), ვინაიდან არ არსებობს ცენტრალური წყალსადენი სისტემა და მოსახლეობა იყენებს გრუნტის ზედაპირულ წყლებს. სასმელი წყლის ხარისხი გამოწვევად რჩება ყველა სოფელში. 2024-2027 წლებში დაგეგმილია როგორც სასმელი წყლის ხარისხის, ასევე შესაბამისი სერვისის გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტის დასახლებების ონთან დამაკავშრებელი ტრანსპორტი კვირაში ერთხელ მოძრაობს, ხოლო სოფლებში - უწერა, გლოლა, ჭიორა, ღები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს კვირაში სამჯერ (სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი). საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ფარავს ყველა სოფელს და ზემო რაჭის სოფლებისთვის ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას როგორც ყოველდღიური ცხოვრების, ასევე საქმიანობისთვისაც. როგორც დაინტერესებულ მხარეებთან მსჯელობისას გამოიკვეთა, რიგ სოფლებში სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების ოჯახებს უწევთ სხვაგან საცხოვრებლად გადასვლა, რათა ბავშვებმა შეძლოს სკოლაში სიარული. 2024-26 წლებში, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებათან ერთად, იგეგმება სხვა დარჩენილი სოფლების დაფარვაც.

[13] იქვე.

5.3. ახალგაზრდული მიმართულება

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, ისევე როგორც მეზობელი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებით, გათვალისწინებულია ახალგაზრდობის მხარდჭერა. პროგრამული დაფინანსება ითვალისწინებს ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით სხვადასხვა აქტივობებისა და ინიციატივების დაფინანსებას. ასევე, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას. მათი დიდი ნაწილი ორიენტირებულია ძირითდად მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე. ასავე, ფინანსდება კულტურული და გასართობი ღონისძიებები.[14]

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის უმნიშვნელოვანესია მაღალი ხარისხის ინტერნეტით სარგებლობა. საქართველოს მთავრობა, მსოფლიო ბანკის ჩართულობითა და მხარდაჭერით, პროექტ "Log in Georgia-ს" [15] ფარგლებში ონის მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომს ხდის მაღალი სიჩქარის ინტერნეტს, რისთვისაც მიმდინარეობს ფართოზოლოვანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის ქსელის გაყვანა მუნიციპალიტეტის შემავალ სოფლებში. ზოგიერთ დასახლებაში ინტერნეტი ჩართულია და უკვე ხდება სერვისის მიწოდება.

მუნიციპალიტეტი მოსახლეობის დასვენების, გართობის, თავისუფალი დროის ორგანიზებულად გატარებისთვის ახორციელებს და კოორდინაციას უწევს მასობრივი ღონისძიებების პროექტებს. აღნიშნული პროექტები ხელ უწყობს ადგილობრივი ავთენტური ფოლკლორული ნიმუშების მოძიებას, ფესტივალების ორგანიზებას და მათ პოპულარიზაციას. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციამ სამომავლოდ ხელი უნდა შეუწყოს მუნიციპალიტეტს გადაიქცეს საფესტივალო ლოკაციად. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალები და რეგიონული მასობრივი კულტურული ღონისძიებები. ამ პროცესში ჩართულია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი.

მუნიციპალიტეტის საფესტივალო ტრადიციების გასაგრძელებლად და განვითარებისთვის აუცილებელია აშენდეს მრავალფუნქციური ამფითეატრი. ასევე, ერთ-ერთი პრიორიტეტია სახალხო თეატრისთვის ძველი ტრადიციების დაბრუნება.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი ცენტრალური (ქ. ონის) და 17 სასოფლო ბიბლიოთეკა 62,597 წიგნადი ფონდით, მკითხველთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში 1055 შეადგენს. მათზე წლის მანძილზე, საშუალოდ 5235 წიგნი, ბროშურა და ჟურნალი გაიცემა. 2022 წლის მონაცემებით, 1 მკითხველი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკაში საშუალოდ სარგებლობს 5 წიგნით, ბროშურით ან/და ჟურნალით, ხოლო 1 ბიბლიოთეკა წლის

[14] ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართი. ხელმისაწვდომია: https://oni.gov.ge/biujeti/

[15] https://www.google.com/search?q=log+in+georgia&oq=log+in+georgia&aqs=chrome..69i57l2j69i59j69i60l4.2594j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8

განმავლობაში საშუალოდ ემსახურება 59 მკითხველს. 2022 წელს წიგნით მოსახლეობის მომსახურებისთვის მუნიციპალიტეტმა 77,000 ლარი დახარჯა. ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებში დასაქმებულია 25 ადამიანი, მათ შორის, 23 ქალია. წლის განმავლობაში ბიბლიოთეკებში კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებები იმართება, სადაც მონაწილეობენ მკითხველთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები. საგულისხმოა, რომ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია ავარიულ შენობაში, სოფლის ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა ყველგან მოსაწესრიგებელია, მოძველებულია ინვენტარი, წიგნების ფონდი მოითხოვს განახლებას, კადრების გადამზადებას. ონის ბიბლიოთეკას არ აქვს საკმარისი ფართობი საბავშვო წიგნების ფონდისთვის და სათანადო მომსახურების გაწევისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნული უკარგავს სურვილს პოტენციურ მკითხველს, რომ მივიდეს ბიბლიოთეკაში.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი და ა(ა)იპ ონის მუნიციპლაიტეტის საფეხბურთო სკოლა „მამისონი“. ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლაში გაერთიანებულია 105 ბავშვი. მუნიციპალიტეტის დაფუძნებული საფეხბურთო სკოლა ემსახურება 50 ბავშვს. სკოლაში 13 ადამიანია დასაქმებული. 2023 წელს შეიქმნა რაგბის რეგიონული კლუბი „ამარანტები“, მასში ონის მუნიციპალიტეტიდან გაერთიანებულია 8 ბავშვი.

მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა სახეობებში ახალგაზრდების წვრთნა და მომზადება უფასოა. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსში ფუნქციონირებს ჭიდაობის (თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის), კალათბურთისა და ფრენბურთის სექციები. ასევე, სკოლა სთავაზობს ახალგაზრდებს სხვადასხვა სახის სერვისს, როგორიც არის ფიტნეს სერვისი და საცოცი კედელი. სკოლა დამთავრებული აქვთ საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა, ასევე, სარგებლობს 26 მინი-სტადიონით, სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონითა და ღია სივრცეებში განთავსებული სპორტული ტრენაჟორებით. მუნიციპალიტეტი ახორციელებს წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელის დახმარებას ფულადი ჯილდოს სახით. 2023 წელს 4,200 ლარით დაფინანსდა 4 ბენეფიციარი.

2022 წელს სლოვაკეთის საერთაშორისო დახმარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ონის მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა პროექტით „საცოცი კედლის მოწყობა ონისთვის“, რომლის ფარგლებშიც 2023 წელს „ბეერ-შევას“ პარკში არსებულ სპორტ-კომპლექსში მოეწყო საცოცი კედელი. ასევე, საგრანტო კონკურსის ფარგლებში ონის მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა პროექტით „ფეხბურთის მინი სტადიონის აშენება/რეკონსტრუქცია ონისთვის“. ახალგაზრდების საჭიროებებიდან გამომდინარე, მათთვის მულტიფუნქციური სპორტული სივრცის შესაქმნელად მიმდინარეობს „ბეერ-შევას“ პარკში არსებულ სპორტ-კომპლექსში საფეხბურთო მინი-სტადიონის აშენება/რეკონსტრუქცია.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ონის მუნიციპალიტეტში ისევე როგორც საქართველოს სხვა მაღალთიან რეგიონებში, კვლავ უმწვავესად დგას ახალგაზრობის სხვა მუნიციპალიტეტებსა და დიდ ქალაქებში მასშტაბური მიგრაციის საკითხი.

სტრატეგიის მომზადების ფარგლებში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები, მათ შორის ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან და გამოიკვეთა ის საკითხები და პრობლემები, რომლებიც მათ მიაჩნიათ აქტუალურად. კერძოდ, განათლების მიმართულებით აღინიშნა, რომ სასურველია რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის ფილიალის ან სასწავლო ცენტრის გახსნა, ასევე, ისეთი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის წარმართვა, რასაც საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს, მაგალითად: ICT მიმართულება; საერთო ინტერესებით დაკავშირებული ახალგაზრდებისათვის სივრცის გამოყოფა, სადაც შეძლებენ ერთმანეთისათვის იდეებისა და ინფორმაციის გაზიარებას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროფესიულ-ტექნიკური სწავლების შესაძლებლობა; ასევე, ისეთი მოთხოვნადი პროფესიების შესწავლა, როგორიც არის დიზაინი, კულინარია და სხვა.

ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიისას ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ კულტურული ღონისძიებების მიმართულებით ერთჯერადი ღონისძიებების ჩატარება არაეფექტურია; გაცილებით ეფექტური იქნება მთელი წლის მანძილზე შედარებით პატარა ღონისძიებების ჩატარება. ასევე, გამოიკვეთა, რომ საჭიროა ბიბლიოთეკის განახლება ახალი და თანამედროვე საყმაწვილო ლიტერატურით; მხატვრული ლიტერატურის, კინოსა და თეატრის მოყვარულთა კლუბების შექმნა; ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების დამყარებას და მათ ინტეგრაციას საერთო ინტერესების ქვეშ. ახალგაზრდების სურვილია, რომ გაიხსნას მოთხოვნადი და პოპულარული სპორტის სექციები, მაგალითად: კალათბურთის მოედანი და ჩოგბურთის კორტი. განსაკუთრებული გულისტკივილით აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არ არის საცურაო აუზი, ხოლო არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გარკვეული ნაწილი საჭიროებს რეაბილიტაციას.

ახალგაზრდების აზრით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა მხრიდან მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ზაფხულის პერიოდში ახალგაზრდების ადგილზე დასაქმების საკითხს, ასევე, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ბანაკების მოწყობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. მიზანშეწონილია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ ყოველწლიურად განსახორციელებელი ღონისძიებები დაიგეგმოს ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით - მათი მოსაზრებებისა და სურვილების გათვალისწინებით.

პროექტის “მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე” ფარგლებში ჩატარდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობის გამოკითხვა, რომელიც წარმომადგენლობითი იყო როგორც რეგიონის, ასევე მუნიციპალიტეტების დონეზე. კვლევამ საკმაოდ საინტერესო სურათი აჩვენა ახალგაზრდებთან მიმართებით რამდენიმე კუთხით. უმუშევრობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან გამოკითხული ახალგაზრდების (18-დან 35 წლამდე პირები) მესამედი უმუშევარია და ამასთანავე, მათგან ვინც დასაქმებულია, 65% სახელმწიფო სექტორშია და ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა წილი მხოლოდ 30% შეადგენს. შემოსავლის თვითშეფასების კუთხით, 35 წლამდე რესპონდენტთა უმრავლესობა (80%) საკუთარ შემოსავალს აღიქვამს როგორც საშუალოს ან დამაკმაყოფილებელს, ხოლო მხოლოდ 7% - როგორც კარგს. ბიზნესის კეთების კუთხით გამოკითხული ახალგაზრდების მხრიდან

იკვეთება ზოგადი ინტერესი - გამოკითხულთა 70% უფიქრია ბიზნესის დაწყება (60%), ან ჰქონია ბიზნესის დაწყების წარმატებული მცდელობა (10%). ისინი, ვისაც უფიქრიათ ბიზნესის დაწყება, მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად ასახელებენ საწყის კაპიტალთან წვდომას (67%). ამავე კონტექსტში საინტერესო იყო იმის ნახვა, თუ ახალგაზრდების რა წილს ჰქონია საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გამოცდილება. კვლევიდან გამოიკვეთა, რომ გამოკითხული ახალგაზრდების ან/და მათი ოჯახების 77% არასდროს მიუღია მონაწილეობა რაიმე საგრანტო კონკურსში, რის მთავარ მიზეზადაც სახელდებოდა ინტერესის ნაკლებობა (52%). ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა 53% არც სამომავლოდ აპირებს საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღებას. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კვლევიდან საკმაოდ საინტერესო სურათი იკვეთება ახალგაზრდების აღქმების კუთხით; ინტერესი ბიზნესის კეთების/დაწყების მიმართ საკმაოდ მაღალია და არ-დაწყების მთავარ მიზეზს საწყისი კაპიტალის ნაკლებობა წარმოადგენს. იმავდროულად, საკმაოდ დაბალია ინტერესი საგრანტო კონკურსების მიმართ, რაც გარკვეულწილად მიუთითებს იმას, რომ ახალგაზრდები გრანტს არ აღიქვამენ როგორც საწყისი კაპიტალის მოძიების შესაძლებლობად.

5.4. ონის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიის, სოციალური მდგომარეობისა და ახალგაზრდულ საკითხთა მიმართულების შეჯამება

ონის მუნიციპალიტეტი საქართველოს ერთ-ერთი მცირემოსახლეობიან მუნიციპალიტეტებს შორის არის. ზოგადი დემოგრაფიული სურათი საკმაოდ საყურადღებოა, ვინაიდან საშუალო ასაკი მაღალია, სოციალურად დაუცველთა რიცხვიც მაღალია და მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის გადინების მაჩვენებელი კიდევ უფრო ართულებს საერთო სურათს. აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ონის მუნიციპალიტეტს აქვს ურბანიზაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, მოსახლეობის თითქმის ნახევარი თავმოყრილია ქალაქ ონში.

ადგილობრივი ახალგაზრდობისთვის მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის სპორტული შესაძლებლობები, თუმცა პრობლემურია საგანმანათლებლო, მათ შორის პროფესიულ, პროგრამებთან და რესურსებთან წვდომა; იმავდროულად, ონის მუნიციპალიტეტის რიგი სოფლები ტრანსპორტთან დაკავშირებული გამოწვევების გამო მოკლებულები არიან შესაძლებლობას, ისარგებლონ ადგილზე არსებული მწირი შესაძლებლობებით.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტი დგას რიგირ გამოწვევების წინაშე - ადგილზე შესაძლებლობებისა და ხალხის ნაკლებობა, ისევე როგორც ცხოვრების დაბალი დონე ნაკლებად მიმზიდველს ხდის ონის მუნიციპალიტეტში ცხოვრებას ახალგაზრდებისთვის, რაც იწვევს მათ მიგრაციას. ეს თავისთავად ასახვას პოულობს მუნიციპალიტეტის განვითარების ხარისხსა და მასშტაბებში.

5.5. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- მაღალმთიანი რეგიონებისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების არსებობა;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემო;
- მუნიციპალიტეტის მუდმივად მაცხოვრებელი დასახლებების უზრუნველყოფა ელექტროენერგიით და მობილური კავშირით;
- თვრამეტივე თემში ასფალტირებული სოფლებამდე მისასვლელი გზები;
- სკოლამდელი და სრული ზოგადი განათლების შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა და მომსახურების ხელმისაწვდომობა;
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დაფინანსება;
- მუნიციპალიტეტის გამოცდილება საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში;
- მუნიციპალიტეტის მიერ სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაგეგმვა ადგილობრივი მოსახლეობის (ახალგაზრდების) ჩართულობით.

სუსტი მხარეები

- შრომისუნარიანი მოსახლეობის მაღალი სეზონური მიგრაცია სხვა მუნიციპალიტეტებში;
- უმაღლესი და პროფესიული განათლების ადგილზე მიღების შესაძლებლობის არ არსებობა;
- სოციალურად დაუცველთა სიმრავლე;
- დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები და მათი სიმცირე;
- დაბალი შობადობა და მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებლები;
- ტრანსპორტისა და ლოჯისტიკური პრობლემები, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში;
- არადიჯიტალიზირებული მუნიციპალური სერვისები;
- სოფლად სასმელი წყლის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი (ტექნიკური წყალი);
- ღარი-უწერის მიმართულებით გაზსადენის ცენტრალური მაგისტრალის არ არსებობა;
- ახალგაზრდებისათვის განათლების მიღების, კულტურული ცხოვრების, სპორტული და გასართობი ღონისძიებების არასაკმარისი დონე;
- ბიბლიოთეკებში წიგნების ფონდის განახლების შესაძლებლობის არ ქონა.
- არასაკმარისი სპორტული ინფრასტრუქტურა.
- კულტურული ღონისძიებებისა და ახალგაზრდული აქტივობების სიმცირე.

შესაძლებლობები

- მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისა და ადგილობრივ მაცხოვრებელთა მუნიციპალიტეტში დაბრუნების ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;
- ჰიდრო რესურსების მეტი ინტენსივობით გამოყენება; მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესების მშენებლობა;
- აგრო და ეკო ტურიზმის განვითარება;
- ფართოზოლოვანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის გაფართოვება და განვითარება;
- ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტებში მუნიციპალიტეტის საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება;
- მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხრიდან სასწავლო და პროფესიული პროგრამების განხორციელება.

საფრთხეები

- მასშტაბური მიგრაცია;
- ბუნებრივი კატაკლიზმები;
- გლობალური დათბობა;
- პანდემია;
- რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ზოლთან სიახლოვე;
- რთული ბუნებრივი პირობები;
- მუნიციპალიტეტისათვის მაღამთიანი რეგიონის სტატუსის გაუქმება.

5.6. ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი და ამოცანები

ონის მუნიციპალიტეტი, ისევე როგორც რაჭის სხვა მუნიციპალიტეტები, აწყდება მიგრაციის გამოწვევას, რაც განსაკუთრებით ამცირებს შრომისუნარიანი და ახალგაზრდული მოსახლეობის რაოდენობას. მიგრაცია ხელს უწყობს დაბალი შობადობის მაჩვენებელს, რაც უარყოფითად აისახება მუნიციპალიტეტის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. ახალგაზრდებისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს

ეკონომიკურ აქტივობას და ადგილობრივი განვითარების პერსპექტივებს. ამ გამოწვევებს ამძიმებს განათლების, კულტურული ცხოვრების და სპორტული ღონისძიებების ნაკლებობა, რაც კიდევ უფრო ზრდის ახალგაზრდების დემოტივაციას და მუნიციპალიტეტის დატოვების ტენდენციებს. სოციალურად დაუცველთა რაოდენობის ზრდა მიუთითებს სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის არსებობაზე, რაც დამატებით სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს ქმნის. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებული კულტურული და სპორტული პროგრამები ნაწილობრივ აუმჯობესებს ახალგაზრდების მდგომარეობას, თუმცა მათი მასშტაბი და გავლენა საკმარისი არ არის, რათა ძირეულად შეცვალოს დემოგრაფიული პრობლემები. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ონის მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი სოციალური და დემოგრაფიული მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ამისათვის აუცილებელია განათლების, დასაქმებისა და სოციალური მხარდაჭერის პროგრამების გაძლიერება, რაც შეამცირებს მიგრაციას და გააუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს. ამ გამოწვევების ფონზე, აუცილებელია სტრატეგიული მიდგომების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება სოციალურ და დემოგრაფიულ საკითხების მოგვარებაზე.

2024-2028 წლებისთვის **სტრატეგიული მიზანი** ამ მიმართულებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ახალგაზრდებისთვის ეკონომიკური საქმიანობისა და ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომელიც მათ ადგილზე გააქტიურებთ, წაახალისებს მათ მუნიციპალიტეტში დარჩენას და მისცემს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას.

ამ მიზნის მისაღწევად, შემდეგი სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა:

ამოცანა	დასაბუთება
ამოცანა #1: თანამედროვე, ახალგაზრდების საჭიროებებსა და სურვილებზე მორგებული ახალგაზრდული ინფრასტრუქტურისა და ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა ონის მუნიციპალიტეტში	ახალაზრდებისთვის ერთ-ერთ წუხილს წარმოადგენს მათზე მორგებული ინფრასტრუქტურისა და რესურსების (მათ შორის ლიტერატურის) ხელმისაწვდომობის პრობლემა, რაც მუნიციპალიტეტში ცხოვრებას მათთვის ნაკლებად მიმზიდველს ხდის. მსგავსი შესაძლებლობების ადგილზე შექმნამ და გამრავალფეროვნებამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების ადგილზე დამაგრებისთვის საჭირო გარემოს განვითარებას.
ამოცანა #2: ახალგაზრდების ბიზნეს საქმიანობაში ჩართულობის ხარისხის (როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი) გაზრდა	მიუხედავად ახალგაზრდებში ბიზნეს საქმიანობის დაწყების მიმართ მაღალი ინტერესისა, ამ ინტერესის რეალიზების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია ფინანსებსა და საჭირო უნარებზე დაბალი

	ხელმისაწვდომობით. ამ მიმართულებით მიზანმიმართულმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერებას, სულისკვეთების პრაქტიკულ რეალიზებას, რაც გაზრდის მუნიციპალიტეტში ეკონომიკურ აქტივობას, შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდებს, ადგილზე მოახდინონ საკუთარი უნარებისა და ინტერესების რეალიზება, დასაქმდნენ, შექმნან სამუშაო ადგილები და გაუმყარდეთ მუნიციპალიტეტში დარჩენის მიმართ ინტერესი.
ამოცანა #3: ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა მუნიციპალიტეტის განვითარებასა და ახალგაზრდული საკითხების გადაწყვეტაში	ონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები ნაკლებად არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში და ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა-გადაწყვეტაში. უფრო კონკრეტულად, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ძალიან მცირე წილი იჩენს აქტიურობას მსგავსი საკითხებისადმი. ამ მიმართულებით მიზანმიმართულმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების გააქტიურებას ისეთ საკითხებსა და გადაწყვეტილებებში, რომელიც პირდაპირ აისახება მათ მომავალ საცხოვრებელ გარემოზე.

6. სოფლის მეურნეობის მიმართულება

6.1. ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულების მიმოხილვა

ონის მუნიციპალიტეტი მაღალმთიან ზონაში მდებარეობისა და სასოფლო სამეურნეო მიწის მცირე (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის წილი ონის მუნიციპალიტეტის მთელ ფართობში 34%-ია) რესურსის მიუხედავად, სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი წამყვანი დარგია.

სოფლის მეურნეობის დარგში შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტია დასაქმებული. ისინი თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან და თავიანთ ოჯახურ მეურნეობებს უძღვებიან. სოფლის მეურნეობა არ არის სათანადოდ მოდერნიზებული და ძირითადად ნატურალური, პირველადი მეურნეობის ნიშნებს ატარებს.

რელიეფიდან გამომდინარე, ონის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ფართობების ფრაგმენტაციით და მეურნეობების გამსხვილება გართულებულია. ონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 ფერმერული მეურნეობა, სადაც 30 პირია დასაქმებული და 4 საწარმო - 75 დასაქმებულით.

ონის მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობიდან 46,325,6 ჰა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულს უკავია (ტერიტორიის დაახლოებით 34%), მათ შორის, 15,590,3 ჰა. - სათიბს, 27,792,3 ჰა. - საძოვარს, 312,9 ჰა. - მრავალწლიან ნარგავებს, ხოლო 2,153,6 ჰა. - სახნავს, რომელიც საერთო ფართობის მხოლოდ 1,58%-ს შეადგენს, ხოლო 68,176,77 ჰა. ტყით არის დაფარული.

ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებებია მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მებოსტნეობა და მეხილეობა.

2022 წელს მოსავლიანობამ შეადგინა: კარტოფილი - 448.8ტ., სიმინდი - 62.5ტ., ლობიო - 3ტ., სხვა - 20ტ. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საერთო ფართობია 710 472.27 კვ.მ., აქედან 525 981.43 კვ.მ. არის სასოფლო-სამეურნეო, ხოლო 184 490 კვ.მ. - არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები. ონის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო საკუთრებაში არის 12 352 746.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი[16].

ონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს ონის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი“, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამას, ტრენინგ-სემინარებს, ადგილზე მოსახლეობის ინფორმირებას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი მიდგომების მიმართულებით. მიუხედავად ამისა, შედეგებიდან გამომდინარე ეს სამუშაოები არასაკმარისია ან საჭიროებს მეტ ინტენსივობას.

[16] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები

მესაქონლეობის მიმართულებით მუნიციპალიტეტში არსებული პირობები, სათიბი და საძოვარი სავარგულების რაოდენობა და ბალახის მაღალი ხარისხი, მეცხოველეობის განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის. მესაქონლეებს პრობლემები ექმნებათ ტექნიკის სიმცირის და სოფლებში ვეტერინარულ მომსახურებაზე დაბალი ხელმისაწვდომობის გამო. ადგილობრივი მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს ცხოველთა დაავადებების სიხშირე წარმოადგენს.

მეღორეობის მიმართულებით 2018 წლიდან სოფელ ღარში სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი "საპარტნიორო ფონდი" და კომპანია "Native Georgian" ერთობლივად ახორციელებენ „ქართული მთის ღორის გადარჩენის" პროექტს. „ქართული მთის ღორის გადარჩენის" პროექტი საქართველოში „იბერიკოს" ჯიშის ანალოგის, უნიკალური ქართული მთის ღორის მოშენების, ქართული „ჰამონის" წარმოებისა და მსოფლიო ბაზარზე მის კომერციალიზაციას ითვალისწინებს. ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 12 მილიონი დოლარია. დღეის მდგომარეობით, ფერმაში 400 „ლაგაზა" და „გრუზა"-ს ჯიშის ღორია. ფერმაში დასაქმებულია 4 ადამიანი.[17]

სოფელ სორში შ.პ.ს. „ბლაუენშტაინ საქართველო"-მ 2020 წელს შექმნა საბეკონე მიმართულების ღორების ფერმა „ლანდრა ბიუროკი"-ის ჯიშები. 2023 წლისთვის ფერმაში დასაქმებული იყო 5 ადამიანი და ფერმის მასშტაბი მოიცავდა 600 ღორს. FAO-ს დაფინანსებით, სოფელ ზუდალში შპს „ბაჯიხევი"-ის მიერ აშენდა მეღორეობის მცირე ფერმა (6 დედა-ღორზე გათვლილი) და თანამედროვე ტიპის ლორის გამოსაყვანი საწარმო. ასევე, დაგეგმილია სხვა ქართული (კახური) ჯიშების მოშენების პოპულარიზაცია და 50-60 ფერმერისთვის ხელშეკრულების საფუძველზე წყვილი დედალ-მამალი გოჭის შეღავათიან ფასებში გადაცემა, მოშენება-გამრავლების მიზნით. ოჯახური მეურნეობის განვითარებისათვის მოსახლეობა საჭიროდ მიიჩნევს მცირე ტექნიკით დახმარებას და ვეტერინარულ-კლინიკურ მომსახურებას.

ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან, სოფელ ქვედში მიმდებარე რ/კ „ქვედრულა 2018"-ს წითელმა ჯვარმა გადასცა 20 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. რ/კ „ქვედრულა 2018" აწარმოებს რძის პროდუქტებს, მასში გაერთიანებულია 2 საწარმო (რ/კ „ხიანი" და რ/კ „სხანარი 2016") და დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს ოთხს.

მეფუტკრეობა მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგია. მუნიციპალიტეტში 1 860 ფუტკრის ოჯახია და მეფუტკრეობას 102 პირი ეწევა. ადგილობრივი მეფუტკრეებს როგორც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების (PIN, ელკანა, წითელი ჯვარი) მხრიდან შეღავათიან ფასად გადაეცათ 1 200 ფუტკრის სკა (რუტი, დადანი, პენოპოლისტიროლი), 5 ერთეული 12 ვტ.-ზე მომუშავე ციბრუტი, სხვადასხვა ტევადობის თაფლის შესანახი ავზები, ავტომობილი „ტოიოტა პიკაფ" მისაბმელით და საწარმოო დანადგარები. დღეისათვის ფუნქციონირებს ორი მსხვილი მეფუტკრეობის კოოპერატივი

ფუტკრის ოჯახების, წარმოებული თაფლის და მისი გაყიდვების მოცულობა ყოველწლიურად იმატებს და მუნიციპალიტეტში წარმებული თაფლი ქვეყნის მასშტაბით იყიდება.

[17] https://bm.ge/news/qartuli-mtis-goris-gadarchenis-proeqtshi-3-mln-chaido---ra-xdeba-dges/68550

„რაჭა 2014“, “სომიწო“ და ერთი საშუალო კოოპერატივი “ღარი“. იწარმოება რამდენიმე სახეობის ბრენდირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 15 ტ.-მდე თაფლი. წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე გატანა დაგეგმილია 2025 წლისთვის, რაოდენობივი ზრდის შესაბამისად. ადმინისიტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მიმდებარე სოფლებში რ/კ “სხანარი“-ს წითელი ჯვრისგან გადაეცა 36 ფუტკრის ოჯახი და პენოპოლისტირონის სკები.

მუნიციპალიტეტში გარდა უნიკალური წიწვოვანი ჯიშებისა, მრავლად გვხვდება თაფლოვანი მცენარეები: აკაცია, ცაცხვი, ნეკერჩხალი, წაბლი; ალპურ და სუბალპურ მასივებში კი გავრცელებულია თაფლოვანი ბალახოვანი მცენარეები: ძიძო, სამყურა, ესპარცეტი, იონჯა და სხვა. აქედან გამომდინარე, თაფლი გამორჩეულია გემოვანი და სამკურნალო თვისებებით, არის მაღალი ხარისხის და ეკოლოგიურად სუფთა. ფერმერები აწარმოებენ როგორც პოლიფლორულ, ასევე, მონოფლორულ თაფლს. ამასთან, 2024 წლიდან, წარმოებისა და ცნობადობის გაზრდის პარალელურად, იგეგმება ფუტკრის რძის, ცვილის, დინდგელის, ყვავილის მტვერის წარმოება; ონის მუნიციპალიტეტში მეფუტკრეობის განვითარებას დიდი პოტენციალი გააჩნია. შესაძლებელია არსებული რაოდენობის რამდენიმეჯერ გაზრდა.

ონის მუნიციპალიტეტში მებოსტნეობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კარტოფილის წარმოება. მისი წარმოება ხელსაყრელია მაღალმთიან ზონაში, სადაც გვალვის საშიშროება თითქმის ნულის ტოლია და შესაბამისად, კარტოფილი არ საჭიროებს მორწყვას. კარტოფილის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა წლიურად 10 ტონას არ აღემატება და ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში იწარმოება ჯამში საშუალოდ 600 ტონა კარტოფლი. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება გასული წლების მაჩვენებლებს და მისი მოყვანა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის ხდება.

ონის მუნიციპალიტეტის საოჯახო მეურნეობებში თითქმის ყველა ოჯახს გააჩნია კაკლის და ხილის ბაღები. ონის მუნიციპალიტეტი განთქმულია რაჭული ნიგვზით, რომელიც გამორჩეულია ცხიმის მაღალი გამოსავლიანობით და გემოვნური თვისებებით, იგი შეიძლება ჩაითვალოს გლეხური მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ შემოსავლის წყაროდ. ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში 200 ტონა კაკალი იწარმოება. ტყემალი მუნიციპალიტეტში 21 ჰა.-ზეა გაშენებული სოფლებში: ღები, ჭიორა, უწერა, გომი, საკაო, ღარი, შეუბანი, პიპილეთი, ცხმორი, წედისი, ფარახეთი, სოი, ბარი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ნარგავების ორგანიზებული ბაღები ნაკლებად გვხვდება ონის მუნიციპალიტეტში, რაც ართულებს ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვა-წარმოებას ამ მიმართულებით. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის

2019 წელს

ქ. ონში შპს „გეოფლაუერმა“გახსნა ხილისა და კენკროვანი კულტურების ჩამბარებელი პუნქტი, რომელიც ტყის ხილის მიღებასაც ახდენს. ყოველწლიურად ბარდება 10-12 ტონა ხილი. 2024 წლიდან, წარმოებისა და ცნობადობის გაზრდის პარალელურად, იგეგმება გაფართოება და ხილის საშრობის მოწყობა.

მუნიციპალიტეტში არ არსებობს მოყვანილი ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან განვითარების რეალური პერსპექტივა აქვს კენკროვნების კულტივაციას, რომელთა გაშენებაც სახელმწიფო პროგრამის "დანერგე მომავალი"-ს ხელშეწყობით ინტენსიურად მიმდინარეობს. 2018-2023 წლებში, პროგრამის საშუალებით კაკალი გაშენებულია 55 ჰექტარზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ერთი კერძო საკუთრებაში მყოფი, გადახურული ტიპის ბაზარი. ბაზარი მუშაობს კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით და ემსახურება მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს და ვიზიტორებს.

ონის მუნიციპალიტეტში კლიმატი და წყლის მდიდარი რესურსები ქმნის ხელსაყრელი პირობებს სათევზე მეურნეობების განვითარებისთვის და მეკალმახეობით კავდება ადგილობრივი მოსახლეობის მზარდი რიცხვი.[18] მხოლოდ სოფელ გლოლაში რვა ადგილას არის მეურნეობა წარმოდგენილი, სადაც სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის 40,000 თევზი იზრდება. სხვადასხვა ზომის მეურნეობებია წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის რამდენიმე სხვა სოფელშიც. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში წყლის ხარისხი და დაბინძურების დაბალი მაჩვენებელი იძლევა ბიო კალმახის წარმოების შესაძლებლობას, რაც მომიჯნავე დარგების განვითარების პერსპექტივას ქმნის. მოცემული ეტაპისთვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს თევზის მომრავლება, თუმცა, სამომავლოდ არსებობს კალმახის ხიზილალის, სხვადასხვა ტიპის თევზის პროდუქტების წარმოება, ისევე როგორც კალმახისთვის ბიო-საკვების დამამზადებელი მიმართულების განვითარება. მიუხედავად მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ამ მიმართულების პერსპექტიულობისა, ადგილზე არ არის წარმოდგენილი საცდელი/სასწავლო მეურნეობა, მით უფრო თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, რაც შესაძლებლობას მისცემდა მეთევზეობით დაინტერესებულ მეტ პირს, მიეღოთ ცოდნა და გამოცდილება საქმის სწორად დასაგეგმად.

ონის მუნიციპალიტეტში არ არსებობს სოფლის მეურნოების პროდუქტების და ნიადაგის შესამოწმებელი ლაბორატორია. მუნიციპალიტეტში, სოფელ სორში მოქმედებს 1 სასაკლაო. სასაკლაო აკმაყოფილების მუნიციპალიტეტში არსებულ მოთხოვნას.

> სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებიდან ადგილობრივ ფერმერებს **2018-2022** წლებში მიღებული აქვთ **95 000 ათასი** ლარის დაფინანსება.

ონის მუნიციპალიტეტი მოწყვლადია საშიში სტიქიური უბედურებების განვითარების კუთხით, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს როგორც მოსახლეობისთვის, ასევე სოფლის მეურნეობისთვის - განსაკუთრებით სასოფლო-სამურნეო სავარგულებისა და ნათესების/ნარგავების/მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის განადგურების კუთხით. იმავდროულად, მოსახლეობაში საკმაოდ დაბალია ცნობიერება ბუნებრივი კატასტროფების შედეგების შერბილებისა და მათზე რეაგირების შესახებ.

[18] საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. *აგრობიზნესის საჭიროებები ონის მუნიციპალიტეტში.* ხელმისაწვდომია: http://economists.ge/pdf/onigeo.pdf

პროექტის “მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე” ფარგლებში ჩატარებული კვლევიდან საკმაოდ საინტერესო სურათი იკვეთება სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულ პირებთან მიმართებით. ონის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 4% ასახელებს დასაქმების ფორმას “თვითდასაქმებულს სოფლის მეურნეობაში” და მათი 75% მოდის 36-დან 65 წლამდე ასაკის პირებზე. ამ პირთაგან საკუთარ შემოსავალს არავინ მიიჩნევს როგორც კარგს, ძირითადი ნაწილი (87.5%) საკუთარ შემოსავალს თვლის როგორც საშუალოს ან დამაკმაყოფილებელს, ხოლო დარჩენილი 12.5% - როგორც ცუდს. ამასთანავე, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულ პირთა შინამეურნეობებიდან არცერთს აქვს ყოველთვიური შემოსავალი 2000 ლარზე მეტი, მაშინ როდესაც ონის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 4% აღნიშნავს შინამეურნეობის საშუალო შემოსავალს 2000 ლარზე მეტს. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება მსჯელობა, რომ სოფლის მეურნეობით ძირითადად დაკავებულები არიან დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობები და იმავდროულად, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმება ვერ უზრუნველყოფს შინამეურნეობის შემოსავლის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

6.2. ონის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის მიმართულების შეჯამება

ონის მუნიციპალიტეტს, გამომდინარე სუფთა ეკოლოგიური გარემოდან, აქვს პოტენციალი განავითაროს ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის წარმოების მიმართულება. მუნიციპალიტეტში ხელსაყრელი გარემოა მეფუტკრეობის, მესაქონლეობის, მეღორეობისა, მეთევზეობისა და მემცენარეობის განვითარებისთვის და აქ წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის ისეთი მიმართულებები, რომლებიც უნიკალურია თავისი საგემოვნო თვისებებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი გამოწვევა, რაც გარკვეულწილად განაპირობებს იმას, რომ სოფლის მეურნეობა ნაკლებად მოდერნიზებული და განვითარებულია, როგორც ეკონომიკური სარგებლის მომტანი მიმართულება.

მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია მცირემიწიანობა და იმავდროულად, სასოფლო სამეურნეო მიწები ფრაგმენტირებულია, ორგანიზებული ბაღების სიმცირე აღინიშნება, რაც ფაქტიურად აუცილებელს ხდის თანამშრომლობის გარკვეული ფორმის ჩამოყალიბებას ფერმერებს შორის სოფლის მეურნეობიდან ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. ონის მუნიციპალიტეტში არის კოოპერატივების გარკვეული გამოცდილება, მათ შორის წარმატებული, თუმცა ამ გამოცდილებისა და პრაქტიკის მასშტაბი საჭიროებასთან შედარებით არასაკმარისია.

სოფლის მეურნეობის განვითარებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს ის ფაქტი, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, ვინც სოფლის მეურნეობით არის დაკავებული, ძირითადად მაღალ ასაკობრივ კატეგორიაშია და ახალგაზრდები ნაკლებად ინტერესდებიან ფერმერული საქმიანობით. გამოწვევას წარმოადგენს კვალიფიციური პროფესიონალების ნაკლებობაც და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელი ლაბორატორიების სიშორე. ამასთანავე, მუნიციპალიტეტში საკმაოდ არის წარმოდგენილი სხვადასხვა სახის ბუნებრივი

კატასტროფის შესაძლო კერა, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სოფლის მეურნეობის განვითარებას. ეს გარემოებები გარკვეულწილად ასახვას ჰპოვებენ სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალ ხარისხსა და ძირითადად პირველად წარმოებაში.[19]

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ონის მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი იყოს ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ადგილი, რომლის პროდუქციაც უფრო ძვირად ფასობს, თუმცა, ამის მისაღწევად სოფლის მეურნეობის მიმართულება საჭიროებს მნიშვნელოვან დახმარებას.

6.3. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- ეკოლოგიურად სუთა გარემო;
- ბუნებრივი რესურსები რაოდენობრივად და ხარისხობრივად: ტყე, წყალი (მათ შორის მინერალური), მდინარეები, სათიბ-საძოვრები;
- სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების არსებობა (მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, ლორის წარმოება, მეკალმახეობა და.ა შ.) და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალწლიანი გამოცდილება;
- ხარისხითა და გემური თვისებებით გამორჩეული პროდუქტები;
- მაღალი ხარისხის საძოვრები;
- დაუბინძურებელი წყლები მეთევზეობის განვითარებისთვის;
- კოოპერატივების შეზღუდული რაოდენობით, თუმცა წარმატებული გამოცდილება.

სუსტი მხარეები

- მწირი ნიადაგები, დამრეცი რელიეფი და მიწის ფართობების ფრაგმენტაცია;
- აგროწარმოებისა და ლოჯისტიკის არადამაკმაყოფილებელი დონე;
- საკრედიტო და ფინანსურ რესურსებზე არასაკმარისი წვდომა;
- შრომისუნარიანი და ახალგაზრდა თაობის მოსახლეობის სიმცირე;
- სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა არასაკმარისი განათლებისა და კვალიფიკაციის დონე;
- დამოკიდებულება პირველად წარმოებაზე და გადამამუშავებელი/დამმუშავებელი წარმოების ფაქტობრივად არარსებობა;
- არასრულყოფილი ვეტერინარული მომსახურეობა;
- ადგილზე საცდელი მეურნეობების არარსებობა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაბალი პროდუქტიულობა;
- პროდუქციის რეალიზაციასა და

[19] სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია დამუშავება/გადამუშავების გარეშე, რაც დამატებული ღირებულების შექმნას შეუძლეველს ხდის.

	საექსპორტო ბაზრებთან წვდომის შესახებ დაბალი ინფორმირებულობა; • მელიორაციისა და სასოფლო - სამეურნეო ინფრასტრუქტურის არასაკმარისი დონე; • სოფლის მეურნეობის მიმართულებით თანამედრივე ტექნოლოგიების ნაკლებად გამოყენება და მათ შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა; • საწარმოთა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვის დაბალი დონე.
შესაძლებლობები • ეკოლოგიურად სუფთა და ბიო წარმოების განვითარება; • აგროტურიზმის განვითარება; • მევენახეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა მიმართულებების ტერასული განვითარება; • სატბორე და საკალმახე მეურნეობების განვითარება, და მათთან ერთად მომიჯნავე მიმართულებების განვითარების პერსპექტივა (თევზის ბიო საკვები); • სოფლის მეურნეობის ისეთი მიმართულებების სწრაფი ტემპით განვითარება როგორიც არის: მემცენარეობა (მეკარტოფილეობა), მეფუტკრეობა, მეცხოველეობა; • სოფლის მეურნეობაში მოქმედი სუბიექტების მიერ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა; • ახალგაზრდა თაობის დაინტერესების ზრდა დარგის მიმართ და სხვადასხვა ფორმით მათი ჩართულობის გააქტიურება.	***საფრთხეები*** • კლიმატის მკვეთრი ცვლილებები და ბუნებრივი კატასტროფების გახშირების რისკი; • მასშტაბური მიგრაცია; • სხვადასხვა მავნებლებისა და დაავადებების გავრცელება; • პანდემია; • დაბალი ხარისხის სათესლე მასალისა და შხამ-ქიმიკატების შემოტანა და გავრცელება; • ფასზე კონკურენცია იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასთან.

6.4. ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი და ამოცანები

ონის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების მრავალწლიანი გამოცდილებით, როგორიცაა მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, მემცენარეობა, ლორის წარმოება და სხვა. ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ტყეები, მდინარეები და საძოვრები ქმნის პირობებს მაღალი ხარისხის პროდუქტების წარმოებისთვის. მიუხედავად პოტენციალისა, მუნიციპალიტეტი აწყდება გამოწვევებს, როგორიცაა მწირი მიწიანობა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სიმცირე და დაბალი ტექნოლოგიური განვითარება, დაბალი რენტაბელობა, რაც ზღუდავს წარმოების მასშტაბებს. მელიორაციის და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა კიდევ უფრო აფერხებს მოსავლისა და საძოვრების განვითარებას. გასაღების ბაზარზე წვდომის სირთულეები ადგილობრივ ფერმერებს პროდუქციის რეალიზაციაში უშლის ხელს, განსაკუთრებით გადამამუშავებელ სექტორში. ასევე, ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა ართულებს ინოვაციების დანერგვას და წარმოების გაფართოებას. ამ პრობლემების გადაჭრა მოითხოვს სახელმწიფოსა და დონორების უფრო აქტიურ მხარდაჭერას. ამ გამოწვევების ფონზე, აუცილებელია სტრატეგიული მიდგომების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება სოფლის მეურნეობის საკითხების მოგვარებაზე.

2024-2028 წლებისთვის **სტრატეგიული მიზანი** ამ მიმართულებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება, რომელიც დაფუძნებულია ეკოლოგიურად სუფთა წარმოებაზე, ტრადიციული დარგების გაძლიერებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე, რათა მოხდეს პროდუქტიულობის ზრდა, აგროტურიზმის განვითარება და ადგილობრივი პროდუქციის საექსპორტო ბაზრებზე დამკვიდრება.

ამ მიზნის მისაღწევად, შემდეგი სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა:

ამოცანა	დასაბუთება
ამოცანა #1: სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მიდგომების, ტექნოლოგიების, კლიმატ-მედეგი მიდგომების, ხარისხის კონტროლის, თანამშრომლობისა და ბრენდირების კუთხით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება	ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები ნაკლებად განვითარებულია და მათში თანამდროვე მიდგომებისა და შესაძლებლობების გამოყენება იშვიათად ხდება, რაც ამყარებს ფართოდ გავრცელებულ რწმენას, რომ სოფლის მეურნეობა არ წარმოადგენს მომგებიან მიმართულებას. იმავდროულად, მუნიციპალიტეტში საკმაოდ მაღალია ბუნებრივი კატასტროფების კერები და მათი განვითარების რისკები, რაც საფრთხისშემცველია მიმართულების განვითარებისთვის. ეს თავისმხრივ იწვევს იმას, რომ სოფლის მეურნეობით დაკავება ნაკლებად მიმზიდველია ახალგაზრდებში და მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობისას ხდება ამ დარგით

	დაკავება. ეს ამოცანა მიმართულია დამკვიდრებული სტერეოტიპების შეცვლისკენ და მეტი ახალგაზრდის დაინტერესებისკენ ამ მიმართულებით, თან ისეთი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს კლიმატის ცვლილებებს, გარემოზე ზრუნვას და ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეებს, რაც საბოლოო ჯამში დარგის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.
ამოცანა #2: სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატების დანერგვის სტიმულირება	ონის მუნიციპალიტეტი მცირემიწიანი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ფრაგმენტირებულია. იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობის დამუშავება/გადამუშავებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები გადაიჭრას, თანამშრომლობა ფერმერთა შორის (იქნება ეს კოოპერატივი, კლასტერი თუ სხვა ტიპის ფორმატი) აუცილებელია; სხვამხრივ დარგს განვითარება გაუჭირდება. ეს ამოცანა მიმართულია თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატის ხელშეწყობისკენ ადგილობრივ ფერმერებს ან/და სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ პირთა შორის, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის გამსხვილებასა და განვითარებას ონის მუნიციპალიტეტში.
ამოცანა #3: სოფლის მეურნეობის პროდუქციის კლიმატ-გონივრული დამამუშავებელი და გადამამუშავებელი წარმოების სტიმულირება	ონის მუნიციპალიტეტიში სოფლის მეურნეობის მიმართულება ძირითადად, პირველადი წარმოების სახეს ატარებს, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის დამატებული ღირებულების შექმნასა და ფერმერისთვის ფინანსური სარგებლის მოტანას. ამ მიმართულების ხელშეწყობამ შესაძლებელი უნდა გახადოს სოფლის მეურნეობის მიმართულების სარგებლიანობის გაზრდა და მდგრადობა, რაც მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო მეტ ადგილობრივს დააინტერესებს, დაკავდეს სოფლის მეურნეობით.

7. ადგილობრივი ბიზნესის მიმართულება

7.1. ონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მიმართულების მიმოხილვა

ონის მუნიციპალიტეტში 2023 წლისთვის 1 246 ერთეული ეკონომიკური სუბიექტი იყო რეგისტრირებული, აქედან მოქმედი იყო - 309, ხოლო ახლადრეგისტრირებული - 125. ბოლო წლების განმავლობაში ონის მუნიციპალიტეტში შეინიშნება როგორც რეგისტრირებული, ასევე მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდის ტენდენცია, თუმცა, ონის მუნიციპალიტეტში შექმნილი საწარმოების რაოდენობა ნაკლებია ლენტეხის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტებთან შედარებით.[20]

ონის მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა და დაქირავებულთა რაოდენობა, აგრეთვე, მოქმედი კომპანიების მიერ პროდუქციის გამოშვების მოცულობა და ბიზნეს სექტორის მიერ გადახდილი დამატებული ღირებულება მეტია ლენტეხის მუნიციპალიტეტის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამის მიუხედავად, ონის მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის პროდუქტიულობა ნაკლებია ლენტეხის მუნიციპალიტეტის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ცხრილი #5: ბიზნეს სექტორი, დასაქმება და ხელფასები ონის მუნიციპალიტეტში[21]

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2022
ბიზნეს სექტორის დამატებული ღირებულება, მლნ. ლარი	5.1	6.1	8.1	8.0	10.9	11.3	8.4	16.6
ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება, მლნ. ლარი	9.5	9.7	12.1	14.1	17.7	20.8	20.1	29.8
ბიზნეს სექტორის ბრუნვა, მლნ. ლარი	11.5	12	14.9	17.9	22.5	24.9	22.2	45.1

[20] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *სტატისტიკური ინფორმაცია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტის შესახებ.* ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/oni.php?lang=ka

[21] იქვე.

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობა	705	646	655	582	648	536	701	756
ბიზნეს სექტორის დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი	485.3	497	523.4	531.5	641.8	932.2	662.6	1020.9
ბიზნეს სექტორის დაქირავებულთა რაოდენობა	573	575	520	386	489	388	535	612

მონაცამები მუნიციპალიტეტში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების ყველა ძირითადი პარამეტრი განვითარების დადებით ტენდენციაზე მიუთითებს, მათ შორის COVID-19 პანდემიის შემდეგ სწრაფ გაჯანსაღებაზე. ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, სადაც მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა და 2022 წელს მხოლოდ 1 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია; გამონაკლისია მხოლოდ 2019 წელი, როდესაც ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში მხოლოდ 0.3 მლნ. ლარი იყო.

ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ძირითადად საჯარო სამსახურში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში არის დასაქმებული. მუნიციპალიტეტის ინფორმაციით შრომისუნარიანი მოსახლეობის 30% უმუშევარია, რომლის ნახევარი ქალია. თვითდასაქმებულთა რაოდენობა მოსახლეობის 10%-ს შეადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულია 123 პირი (მათ შორის 59 ქალი).

როგორც უკვე აღინიშნა, ონის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით, რომელიც წარმოდგენილია უხვი ზედაპირული და მიწისქვეშა (მტკნარი და მინერალური) წყლებით. მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეა რიონი და მისი შენაკადები. ონის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი წყალუხვი მუნიციპალიტეტია საქართველოში (მუნიციპალიტეტის მაშტაბით 37 მდინარე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ოთხი ჰიდროელექტროსადგური და მუნიციპალიტეს აქვს სხვა ჰესების მშენებლობის პოტენციალი.

ჰესები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ქონების წლიური გადასახადის სახით იხდიან:

2020 წ.	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.
2 831 ლარი	221 312 ლარი	608 169 ლარი	875 960 ლარი

ონის მუნიციპალიტეტისათვის ტრადიციული რეწვას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.: მუნიციპალიტეტში არიან ოსტატები, რომლებიც მუშაობენ თექაზე, ტექსტილსა და ხეზე, სადაც დასაქმებულია 100-მდე ადამიანი და იწარმოება სხვადასხვა სახეობის პროდუქტი, რომელთა შორის აღსანიშნავია: აქსესუარები, სუვენირები, ავეჯი, ხის ნაკეთობები, კარ-ფანჯარა, ფიცარი და სხვა.

სამშენებლო სექტორი მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული სექტორს არ წარმოადგენს, თუმცა, ბოლო 5 წლის განმავლობაში 2.5-ჯერ არის გაზრდილი მშენებლობისათვის ფართობი წინა 5 წელთან შედარებით, რომლებზეც ნებართვა გაიცა მუნიციპალიტეტის მიერ.

2020-2022 წლებში პროგრამა „აწარმოე საქართველოში "პროექტის ფარგლებში, დაფინანსდა 25 ბენეფიციარი, მათი ძირითადი ნაწილი მოდის საოჯახო სასტუმროებზე (17) და კვების ობიექტებზე (4), ასევე ტექსტილის წარმოება (1), ხისა და კოპის წარმოება (1), სამშენებლო მასალის წარმოება (2), რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 660,828 ლარი.

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოს" ფარგლებში, 2016-2022 წლებში, ონში სესხის პროცენტის სუბსიდირების (ინდუსტრიული/უნივერსალი) პროგრამის ფარგლებში მხარადაჭერილი პროექტების შედეგად, მუნიციპალიტეტში 2020-2023 წლებში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობამ შეადგინა 76, ხოლო მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2016-2022 წლებში დახარჯულმა საგრანტო თანხამ შეადგინა 1,222,853 ლარი და შეიქმნა 280 სამუშაო ადგილი, მათ შორის, დასაქმდა 94 ქალი და 44 ახალგაზრდა.

მუნიციპალიტეტში 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 493 ფიზიკური და 107 იურიდიული პირის მიერ გადახდილმა ქონების გადასახადმა 911,822 ლარი შეადგინა. წინა წლებთან შედარებით არის მზარდი ტენდენცია. შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადახდილი ქონების გადასახადიც მატულობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სულ 36 ლიცენზიაა გაცემული სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვებაზე

თაბაშირის მოპოვება - 2 ლიცენზია, კვარცის მოპოვება - 1 ლიცენზია, მანგანუმის მოპოვება - 3 ლიცენზია, მინერალური წყლების მოპოვება - 1 ლიცენზია, ოქროს შესწავლა-მოპოვება - 4 ლიცენზია, ქვიშა-ხრეშის მოპოვება - 14 ლიცენზია, ლოდნარის მოპოვება - 2 ლიცენზია, ტექნოგენურ ნარჩენი - 1 ლიცენზია, ტუფობრექჩია (სხვა საშენი) - 1 ლიცენზია, ანთიმონიუმის შესწავლა-მოპოვება - 2 ლიცენზია. დღევანდელი მდგომარეობით ხდება მხოლოდ ქვიშა-ხრეშის მოპოვება, ხოლო ოქროზე მიმდინარეობს დაძიების სამუშაოები. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ხე-მასალაზე მომუშავე საწარმო, რომელსაც პროდუქცია გააქვს ექსპორტზე.

სტრატეგიის მომზადების პროცესში ჩატარდა ონის მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა, სადაც გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები და ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც აფერხებს ადგილობრივი ბიზნესის სწრაფი ტემპებით განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შოვის ტრაგედიის შემდეგ ადგილობრივი ბიზნესის მდგომარეობას. სამწუხაროდ, ფინანსურ რესურსებზე ისედაც დაბალი წვდომის პირობებში უფრო გართულდა მასზე ხელისაწვდომობა, რაც ერთის მხრივ, გამოწვეულია საბანკო დაწესებულებების მხრიდან მუნიციპალიტეტში მდებარე ფიქსირებული აქტივების, როგორც სესხის არალიკვიდურ ფინანსურ უზრუნველყოფად აღიარება და მეორეს მხრივ, მაღალი რისკების პირობებში საბანკო და საფინანსო დაწესებულებები თავს იკავებენ ადგილობრივი ბიზნესის დაფინანსებისგან. უფრო მეტიც, არსებული პროექტები (სასტუმროების მშენებლობის მიმართულებით), რომლთა დაფინანსება დაწყებული იყო, ამ ეტაპზე შეჩერებულია და უსახსრობის გამო ამ ობიექტების

ექსპლუატაციაში შესვლა გაურკვეველი ვადით გადადებულია. ამას ემატება ის ფაქტორიც, რომ მკვეთრად იკლო ვიზიტორების რაოდენობამ და ტურისტული სეზონის დადგომის პერიოდისათვის ძალიან რთულია პროგნოზირება რამდენად ინტენსიური იქნება ვიზიტორთა საერთო როცხოვნობა.

იმისათვის, რომ მნიშვნელოვანწილად გადაილახოს ბუნებრივი საფრთხეების მიმართ ტურისტების შიში და გაიზარდოს მოთხოვნა კვების ობიექტებისა და სასტუმრო ბიზნესზე, აუცილებელია სახელმწოფოს მხრიდან დაიგეგმოს გარკვეული ღონისძიებები, რომელთა საფუძველზეც მოხდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მეშვეობით რეგიონში კვლევებისა და მონიტორინგის ჩატარება, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება მოსახლეობის ინფორმირება შესაძლო ბუნებრივი კატაკლიზმების შესახებ.

მუნიციპალიტეტში არსებობს ძალიან კარგი ბუნებრივი პირობები, რათა მოეწყოს სამთო-სათხილამურო ტრასები და ექსტრემალური ტურიზმისათვის მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ონის მუნიციპალიტეტში არსებული მდინარეები და ეკოლოგიურად სუფთა გარემო საშუალებას იძლევა თევზის მოშენებისა და წარმოების განვითარებისათვის. მით უმეტეს, როდესაც აღნიშნულ პროდუქციაზე არის ძალიან მაღალი მოთხოვნა, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე ქვეყნის მასშტაბით. ასევე, პერსპექტიულია საფეხმავლო და ცხენების საშუალებით გადადგილებისათვის ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა, რასაც გამართული ბილიკები ესაჭიროება. ამ მიმართულებების ამოქმედება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას და მოსახლეობის დასაქმებას. თუმცა, ნებისმიერი მიმართულების განვითარებისას მნიშვნელოვანია, ხდებოდეს რისკებისა და მოწყვლადობის შეფასება, ვინაიდან მუნიციპალიტეტი ბუნებრივი სტიქიური უბედურებების განვითარების თვალსაზრისით საკმაოდ მოწყვლადია.

პროექტის "მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე" ფარგლებში ჩატარებული კვლევიდან საკმაოდ საინტერესო სურათი იკვეთება ბიზნეს საქმიანობასთან მიმართებით. ონის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ რესპონდენტთა 11% მიუთითებდა დასაქმებას ბიზნეს სექტორში, მაშინ როდესაც სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა წილი შეადგენდა 26%. აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტთაგან, რომელთა დასაქმების ადგილია ბიზნეს სექტორი, ანაზღაურების მაჩვენებელი არცერთს მიაჩნია როგორც "კარგი" და მათი 100% მიუთითებს ანაზღაურებას როგორც "საშუალოს ან დამაკმაყოფილებელს". აქვე აღსანიშნავია, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებულ რესპონდენტთა შინამეურნეობების 14% აქვს ყოველთვიური ანაზღაურება 2000 ლარზე მეტი, რაც სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შემთხვევაში მხოლოდ რესპონდენტთა 7.5% შეადგენს. ეს მიუთითებს, რომ საშუალოდ ანაზღაურება ბიზნეს სექტორში უფრო მაღალია სახელმწიფო სექტორთან შედარებით, თუმცა ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვს. კვლევა, ასევე, დაინტერესდა ბიზნესის კეთების მიმართ ინტერესით; ონის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ რესპონდენტთა 56% არასდროს უფიქრია ბიზნესის დაწყება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბიზნესის დაწყების ინტერესის მქონე პირთა წილი საკმაოდ მაღალია მუნიციპალიტეტში, თუმცა შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს ბიზნესის კეთების ცოდნის ნაკლებობა და საწყისი კაპიტალის არარსებობა.

რაც შეეხება საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გამოცდილებასთან დაკავშირებით, ონის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ რესპონდენტთა 87.5% არასდროს მიუღია მონაწილეობა საგრანტო კონკურსში, რისი ძირითადი მიზეზიც იყო ინტერესის ნაკლებობა კონკურსის მიმართ. ასევე, აღსანიშნავია, რომ ინტერესი სამომავლო საგრანტო კონკურსების მიმართაც საკმაოდ დაბალია (რესპონდენტთა 67% არ აპირებს საგრანტო კონკურსებში მონაწილეობას). აქ შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ბიზნესის დაწყების მიმართ საკმაოდ მაღალი ინტერესისა ონის მუნიციპალიტეტში, საწყისი კაპიტალის არარსებობა წარმოადგენს ბიზნესის დაწყებისთვის შემაფერხებელ ფაქტორს ადგილობრივებისთვის და ამასთანავე, ადგილობრივები ნაკლებად აღიქვამენ საგრანტო კონკურსებს როგორც საწყისი კაპიტალის მოძიების შესაძლებლობას.

7.2. ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიზნესის მიმართულების შეჯამება

ონის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, არ არის წარმოდგენილი მსხვილი ბიზნესი, თუმცა, მუნიციპალიტეტში მოქმედებს რამდენიმე დიდი კომპანია. აღსანიშავია, რომ მიუხედავად მოქმედი ბიზნეს სუბიექტების მზარდი რაოდენობისა, მათი რიცხვი მაინც საკმაოდ მცირეა და მოქმედი ბიზნესები ნაკლებადაა დივერსიფიცირებული. ტურიზმის სექტორში მომუშავე ბიზნესები ძირითადად სეზონურ ხასიათს ატარებს და შესაბამისად, სტაბილური წვლილი ადგილობრივ ეკონომიკასა და დასაქმების ბაზარზე ვერ შეაქვთ.

აღსანიშნავია, რომ ონის მუნიციპალიტეტში საკმაოდ მაღალია საარსებო შემწეობის მიმღებთა რიცხვი; იმავდროულად მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მცირეა, რაც აისახება ადგილობრივი მომხმარებლების როგორც რაოდენობაზე, ასევე მსყიდველობითუნარიანობაზე.

გასათვალისწინებელია, რომ პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ჩატარებული კვლევიდან იკვეთება ამბროლაურის მოსახლეობის მაღალი ინტერესი ბიზნესის დაწყების მიმართ, თუმცა სწორედ საწყის კაპიტალთან წვდომის პრობლემა წარმოადგენს გადაწყვეტილების ვერ-მიღების მთავარ მიზეზს.

სტრატეგიის მომზადების პროცესში ბიზნესის დაწყება-გავითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებად გამოიკვეთა, ასევე, ბიზნესის კეთებისთვის საჭირო უნარების ნაკლებობა, ადგილზე მუდმივად მყოფი ახალგაზრდების ნაკლებობა, საგრანტო კონკურსების პირობებისა და მოთხოვნების შეუსაბამობა ადგილობრივ თავისებურებებთან და ადგილზე ბიზნეს საკონსულტაციო/ბიზნეს ინკუბატორის ტიპის დაწესებულებების არარსებობა.

7.3. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- ეკოლოგიურად სუფთა გარემო;
- მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები;
- ტრადიციული სამზარეულო;
- კულტურული მემკვიდრეობა და რეწვა;
- მაღამთიანი რეგიონის სტატუსი და კანონმდებლობით მინიჭებული შეღავათები სამეწარმეო საქმიანობაში;
- მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესების არსებობა.

სუსტი მხარეები

- შრომითი რესურსების ნაკლებობა;
- შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაკლებობა;
- ბიზნეს სექტორში დასაქმებული პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია და შესაბამისი უნარ-ჩვევების არ ქონა;
- კერძო სექტორში დასაქმებულთა შრომის დაბალი ანაზღაურება;
- საოჯახო სასტუმროებისა და კვების ობიექტების ძალზედ მცირე რაოდენობა და სეზონურობა;
- მოკლე ტურისტული სეზონი;
- ონის მუნიციპალიტეტის დაბალი ცნობადობა;
- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
- საბანკო პროდუქტების გარდა, დაფინანსების სხვა წყაროების არარსებობა.

შესაძლებლობები

- სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაბამისი მონიტორინგისა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება ბუნებრივი

საფრთხეები

- სეისმურად მაღალი აქტიურობა და ბინებრივი კატასტროფების განვითარების რისკები;
- პანდემია;
- შრომისუნარიანი მოსახლეობის

საფრთხეებთან მიმართებაში;
- მაღლალმთიანი რეგიონების განვითარებისა და მაცხოვრებელთა დაბრუნების ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკა;
- ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტებისა და წყაროების არსებობა ბიზნესის დასაწყებად/განვითარებისთვის;
- ოპტიკურბოჭკოვანი ინტერნეტის ქსელის გაფართოება მუნიციპალიტეტში;
- მეწარმეობის, ინოვაციების განვითარების და ფერმერთა, მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული სექტორების მხარდამჭერ სახელმწიფო პროგრამებსა და პროექტებში ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინება;
- სახელმწიფოს მხრიდან მეტი ხელშეწყობა სტარტ-აპ და მოქმედი ბიზნესების განვითარებისათვის.

გადინება;
- რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ზოლთან სიახლოვე.

7.4. ონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

ონის მუნიციპალიტეტი აწყდება არაერთ გამოწვევას, რომლებიც აფერხებენ ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას. ძირითადი სირთულეები დაკავშირებულია მცირე ტურისტული სეზონთან, შრომისუნარიანი და ახალგაზრდა მოსახლეობის ნაკლებობასთან, და ბიზნესში დასაქმებული კადრების არასათანადო კვალიფიკაციასთან. ამასთან, **ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე** სერიოზულად ზღუდავს ბიზნესის გაფართოებისა და ინოვაციების დანერგვის შესაძლებლობებს. ამ პრობლემებს ემატება სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური გარემოებები, როგორიცაა ინფრასტრუქტურის სიმცირე და შორეულ ბაზრებთან წვდომის სირთულეები. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, ონის მუნიციპალიტეტში სწორი და შედეგზე ორიენტირებული **მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგიის** შემუშავება შეიძლება გახდეს ადგილობრივი ეკონომიკის ზრდის მთავარი საფუძველი. ადგილობრივი ბიზნესის წარმატებისთვის აუცილებელია

კომპლექსური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ფინანსურ რესურსებზე წვდომის გაუმჯობესებას, ისე კვალიფიციური კადრების მომზადებას და გადამზადებას, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის ეფექტიან განვითარებას. ამ გამოწვევების ფონზე, აუცილებელია სტრატეგიული მიდგომების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება ადგილობრივი ბიზნესის პრობლემების მოგვარებაზე.

2024-2028 წლებისთვის **სტრატეგიული მიზანი** ამ მიმართულებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა და მდგრადი განვითარება, რაც გულისხმობს ეკოლოგიურად სუფთა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას, კლიმატ-გონივრული ინოვაციების დანერგვას, მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებას და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, რითაც მუნიციპალიტეტი გახდება უფრო კონკურენტუნარიანი და ეკონომიკურად მდგრადი.

ამ მიზნის მისაღწევად, შემდეგი სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა:

ამოცანა	დასაბუთება
ამოცანა #1: მეწარმეობით დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობის აღჭურვა ბიზნესის წამოწყება-მართვის, დაფინანსების მოპოვებისა და კლიმატ-გონივრული გადაწყვეტების უნარებით	ბიზნესის დაწყების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად იკვეთება საწყის კაპიტალთან წვდომის პრობლემა, თუმცა საგრანტო კონკურსებსა და დაფინანსების სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია ონის მუნიციპალიტეტში, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია შესაბამისი ცოდნისა და უნარების ნაკლებობით. ამასთანავე, იკვეთება გამოწვევები წამოწყებული ბიზნესის მდგრადობასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ კავშირშია ბიზნესის დაგეგმვა, რეალიზებისა და განვითარების უნარ-ჩვევებთან. ამ მიმართულებით ფოკუსირება ეხმიანება ბიზნესის დაწყების მიმართ ინტერესის გარდაქმნას სამეწარმეო სულისკვეთებად და უნარებად, რომელიც შესაძლებელს გახდის ინტერესის პრაქტიკულ რეალიზებას. იმავდროულად, ბიზნესის მიმართ ინტერესის განვითარებასთან ერთად აუცილებელია მომავალ/არსებულ მეწარმეებს ესმოდეთ მუნიციპალიტეტში ბუნებრივი კატასტროფების რისკების არსებობის შესახებ, შეეძლოთ მათი

	ანალიზი და ბიზნესის ისე დაგეგმვა/განხორციელება, რომ რისკები სათანადოდ იყოს გათვალისწინებული. გარდა ამისა, ცნობიერების ამაღლება რეციკლირებისა და ნარჩენების მართვის მიმართულებით შესაძლებელს გახდის ინოვაციური და კლიმატ-გონივრული ბიზნეს იდეების ფორმირებას.
ამოცანა #2: ბიზნესის დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებთან ადგილობრივი მოსახლეობის წვდომის გაუმჯობესება	ონის მუნიციპალიტეტში დაფინანსების თითქმის ექსკლუზიურ წყაროდ აღქმულია საბანკო სესხი, რომლის პირობებიც საკმაოდ მკაცრია, განსაკუთრებით სტარტ-აპ-ებისთვის. აღსანიშნავია, რომ დაფინანსების სხვა ალტერნატიულ შესაძლებლობებზე ინფორმირება საკმაოდ დაბალია და იმავდროულად, საგრანტო და სხვადასხვა ბიზნესის მასტიმულირებელი პროგრამების რესურსი არ არის აღქმული ბიზნესის დაფინანსების შესაძლებლობად. ამ მიმართულებით ფოკუსირება ეხმიანება დაფინანსების წყაროების დვერსიფიკაციას და შესაძლებლობების, ისევე როგორც დამოკიდებულებების შეცვლას, როდესაც დაფინანსების წყაროდ მხოლოდ საბაკო პროდუქტებია აღქმული.
ამოცანა #3: ინოვაციური მდგრადი და კლიმატ-გონივრული ბიზნეს იდეების განხორციელების მხარდაჭერა	ონის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორი ნაკლებადაა დივერსიფიცირებული და დამოკიდებული ბიზნესის შეზღუდულ მიმართულებებზე, რაც ზრდის როგორც რისკს მუნიციპალიტეტისთვის, ასევე, რისკს თავად მოქმედი და დამწყები ბიზნესისთვის - ფასით კონკურენციაზე ფოკუსირებით. ამ მიმართულებით ფოკუსირება მიზნად ისახავს ბიზნესის დივერსიფიკაციას და ინოვაციური ბიზნეს იდეების მხარდაჭერას, რომელიც ითვალისწინებს როგორც სისუსტეებსა და გამოწვევებს ადგილობრივ დონეზე, ასევე იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს მუნიციპალიტეტში ბიზნეს გარემო.

8. ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულება

8.1. ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულების მიმოხილვა

ონის მუნიციპალიტეტის ძირითად ტურისტულ რესურსს ქმნის რელიეფური კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვერვალები და მყინვარები, ალპური მდელოები და კლდოვანი მასივები წინაპირობას წარმოადგენს ალპური და სათავგადასავლო ტურიზმის სხვა სახეობების განვითარებისათვის (ლაშქრობები, საცხენოსნო ტურიზმი და ა.შ.). ციცაბო ფერდობები, თოვლის ნალექების ხასიათი და ნალექების შენარჩუნების ხანგრძლივობა შესაძლებლობაა სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებისთვის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი ლანდშაფტები და ბიოლოგიური დაცული ტერიტორიის არსებობა საფუძველია ეკოლოგიური, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, სათავგადასავლო (ლაშქრობები, კემპინგი, საცხენოსნო ტურიზმი, ველოტურიზმი, ჯომარდობა და სხვა), გამაჯანსაღებელი-სამედიცინო, გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმისთვის. გამაჯანსაღებელი-სამედიცინო ტურიზმის კიდევ ერთი ხელშემწყობი პირობაა მუნიციპალიტეტის კლიმატი და ჰიდროლოგიური გარემო. კულტურულ-შემეცნებითი-სამეცნიერო, ეთნოგრაფიული-ფოლკლორული, პოლიგრიმული, აგრო და გასტრონომიული ტურიზმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განვითარების განმაპირობებელია არსებული კულტურული მემკვიდრეობის (არქეოლოგიური, არქიტექტურული, საინჟინრო, საბაღე-საპარკო და ლანდშაფტური არქიტექტურის, ეთნოგრაფიული) ძეგლები და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა (ტრადიციული რეწვა (ხეზე კვეთა, თექა), ფოლკლორი (ცეკვა და სიმღერა, ხელოვნება), მუსიკალური საკრავები, ტრადიციული და გამორჩეული სამზარეულო, მეურნეობის წარმოების დამახასიათებელი წესი).

სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის ონის მუნიციპალიტეტში ტურისტული სეზონი მოკლეა, მაისი-ივნისიდან იწყება და სექტემბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება. მისი გახანგრძლივება შესაძლებელია ბალნეოლოგიური, სათავგადასავლო, სამთო, ეკო, გასტრონომიული, კულტურული და სხვა ტიპის ტურიზმის პოტენციალის გამოყენებით. ონის მუნიციპალიტეტში არსებობს პირობები სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. მდ. რიონისა და მდ. ჯეჯორაზე შესანიშნავი პირობებია სპორტული ნაოსნობისა და რაფტინგის განვითარებისთვის. ლაშქრობის განვითარებისთვის პირობები არსებობს უწერასა და შოდაკედელაში. ეკოტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია 2022 წელს შექმნილი რაჭის დაცული ტერიტორიები. ქ. ონში ახალი რაჭის მუზეუმის არსებობა 2018-2020წწ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ქმნის მუნიციპალიტეტში არქეოლოგიური ტურიზმის განვითარების წინაპირობას. ებრაელი ტურისტების მუნიციპალიტეტით დაინტერესებას ზრდის ქ. ონში ქართველი „შინდლერის“ - სერგი მეტრეველის მონუმენტი და ონის სინაგოგა. მუნიციპალიტეტში არსებული დარბაზებისა და

გვირაბების საერთო სიგრძე 2 კმ-ს აღემატება. ტურისტებისთვის აქტიურ მოსანახულებელ ადგილებლად ქცევის პერსპექტივა აქვს შქმერში ჯერ შეუსწავლელ კარსტულ მღვიმეს და მის მიმდებარე ტერიტორიებს; ასევე, ბრინჯაოს, რკინისა და ანტიკური ხანის მეტალურგიის ცენტრს - ბრილს. ღები-ქვემო სვანეთის გზის მშენებლობა დიდ გავლენას იქონიებს ტურიზმის სექტორის განვითარებაზე.

2023 წლის შოვის ტრაგედიამდე ონის მუნიციპალიტეტის ყველაზე მოთხოვნადი ტურისტული ადგილები იყო კურორტი შოვი, სოფლები ჭიორა, ღები, ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლები - უწერა და გლოლა, აგრეთვე უძირო ტბა. თუმცა, შოვში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ონის ტურისტული დანიშნულების ადგილს გამოაკლდა შოვი და ის მარშრუტები, რომლებიც მყინვარ ბუბასკენ მიდიოდა სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის ადგილობრივი გიდების მიერ გაუვალად და სახიფათოდ იყო მიჩნეული.[22] იმავრდოულად, აღსანიშავია, რომ მიზანშეწონილობისა და შესაძებლობების ანალიზისას გამოიკვეთა მოგზაურთა მხრიდან ონის მუნიციპალიტეტში მოგზაურობისგან თავშეკავების ტენდენციები, რაც მეხსიერებაში ჩარჩენილი შოვის ტრაგედიას უკავშირდება; განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, რომ ტრაგედიის შაემდეგ მოგზაურთა დამარწმუნებელ რაიმე მიზანმიმართული,თავდაჯერებულობის გასაზრდელი საინფორმაციო კამპანია არ წარმართულა. აქვე აღსანიშავია, რომ შოვში დატრიალებულმა ტრაგედიამ წინ წამოწია კლიმატის ცვლილებებიდან გამოწვეული ბუნებრივი საფრთხეებისა და მათზე რეაგირების გზების დასახვის, ისევე, როგორც დამკვიდრებული მიდგომებისა და პრაქტიკების გადახედვის საჭიროება.

ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული ზოგადი სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ცხრილში #6.

ცხრილი #6: ონის ტურიზმის სექტორის ზოგადი მაჩვენებლები

ონის მუნიციპალიტეტში სასტუმროსა და სასტუმროსტიპის დაწესებულებების რაოდენობა (2023)	17[23]	Booking.com-ზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განთავსებული სასტუმროსა/საოჯახო სასტუმროსა და გასაქირავებელი სახლების რაოდენობა (2024 წ.)	22

[22] სოფიო ჯღარკავა, პროექტის "მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე" ფარგლებში (2024წ.) . "რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების ანალიზი".

[23] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *რეგიონების სტატისტიკა*. ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/oni.php?lang=ka

ონის მუნიციპალიტეტში სასტუმროსა და სასტუმროსტიპის დაწესებულებების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი 2014-დან 2023 წლების პერიოდში	113%[24]		სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ვიზიტორების რაოდენობა (2023)[25]	სულ	1 588 [26]
				საქართველოდან	1 073
				საზღვარგარეთიდან	515
ონის მუნიციპალიტეტში სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ნომრების რაოდენობა (2023)	**სულ**	**88[27]**	ონის მუნიციპალიტეტში სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა (2023)	63[28]	
	ლუქსი	3			
	ერთ ადგილიანი	1			
	ორ ადგილიანი	59			
	სამ ან მეტ ადგილიანი	25			

ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმის სექტორის ზოგადი სტატისტიკის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ მიუხედავად სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის ზრდისა 2014-2023 წლების პერიოდში, ეს მაჩვენებელი ოთხჯერ ჩამოუვარდება მომიჯნავე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მაჩვენებელს, მიუხედავად იმისა, რომ ონში საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ტურიზმისთვის საინტერესო ადგილები. რაც შეეხებათ სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებულების რაოდენობას, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან (2019-2022) შედარებით ზრდა ფიქსირდება, გრძელვადიანი მონაცემების ანალიზისას იკვეთება, რომ რაოდენობა უმნიშვნელოდ არის გაზრდილი და ფაქტობრივად 2017-2018 წლის მაჩვენებლის ტოლია, ხოლო 2013-2015 წლის მაჩვენებლებს არსებითად ჩამოუვარდება (2013-2015 წლებში დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი იყო 97.[29]

მუნიციპალიტეტში არსებულ სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების აბსოლუტურ უმრავლესობაში ოთახების რაოდენობა ათი და ნაკლებია. საკონფერენციო

[24] იქვე.
[25] იქვე.
[26] იქვე
[27] იქვე.
[28] იქვე.
[29] იქვე

შესაძლებლობები არის მხოლოდ 2 სასტუმროში, „მანინოსა“ (10 კაცი) და „ორიონში“ (80კაცი) სადაც შესაძლებელია მაქსიმუმ 90 კაციანი კონფერენციის ჩატარება. 2023 წლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტში ყველაზე მაღალი კლასის სასტუმრო იყო 2021 წელს გახსნილი 14 ნომრიანი სასტუმრო „მანინო“. 2024 წელს კი უწერაში იგეგმება „რედისონი“-ს ქსელის ხუთ ვარსკვლავიანი, 85 ნომრიანი სასტუმროს გახსნა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ტურიზმის სექტორის განვითარებას, ვინაიდან ეს იქნება პირველი ქსელური სასტუმრო არამხოლოდ ონის მუნიციპალიტეტში, არამედ მთელ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს კლიმატო-ბალნეოლოგიური ტიპის კურორტები (უწერა, შოვი[30] და სორტუანი) და საკურორტო ადგილები (ბარი, სხეფური, ქვედის ტბა და ძეგლები). მათი სავარაუდო სამედიცინო პროფილებია: ართროლოგიური, ნევროლოგიური, გინეკოლოგიური, დერმატოლოგიური, პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ალერგოლოგიური, გასტროენტეროლოგიური და კარდიოლოგიური. მინერალური წყლები არსებობს ქ. ონში და სოფლებში: ონი, ჟამიერეთი, გლოლა, ღები, ჭიორა, შქმერი, მრავალძალი), მათი თვისებები ჯერ კიდევ შესასწავლია.

ონის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა მაჩვენებლების ანალიზისას იკვეთება, რომ ვიზიტორთა რიცხვი სტაბილურად მერყეობდა 2020-2023 წლებში და მათი აბსოლუტური რიცხვი არც ისე მაღალია ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ 2023 წლის ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია 2018-2019 წლების მაჩვენებლებთან შედარებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ 2023 წლისთვის COVID-19 პანდემიით გამოწვეული ვარდნის დროულად აღდგენა ვერ შეძლო ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმის სექტორმა. ამ ფაქტს კიდევ უფრო ამწვავებს შოვის 2023 წლის ტრაგედიის შემდგომი აღქმები.

დიაგრამა #3: ონის მუნიციპალიტეტში წლის მანძილზე მოგზაურთა რაოდენობა[31]



[30] აღსანიშნავია, რომ 2023 წელს შოვში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ კურორტი შოვი განუსაზღვრელი დროით გამოაკლდა მუნიციპალიტეტის ბალნეოლოგიურ კურორტებს.
[31] იქვე.

2023 წელს უცხოეთიდან ჩამოსულ დამსვენებლთა 62% წარმოადგენდნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ჩამოსული ვიზიტორები.

2023 წელს ონის მუნიციპალიტეტის ვიზიტორთა უმრავლესობა (72%) წარმოადგენს რეკრეაციული მიზნებისთვის ჩამოსულ დამსვენებელს და მათი თითქმის მესამედი უცხოეთიდან არის, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია მომიჯნავე ამბროლაურის მუნიციპალიტეტთან შედარებით.

საკურორტო და სარეკრეაციო ობიექტებთან მისასვლელი გზების და ინფრასტურქტურის მოწესრიგების მიზნით, ბოლო 2 წლის მანძილზე აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში. 2022 წელს დამტკიცდა კურორტ შოვის, სოფელ უწერისა და სოფელ მრავალძლის განვითარების რეგულირების გეგმები, სოფელ ჭიორის, ღებისა და ქ. ონის განვითარების კონცეფციები[32]. რეკრეაციული სივრცეების განვითარების მიმართულებით განხორციელდა არსებული მინერალური წყლების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა ქ. ონში, კურორტ შოვში, სოფელ გლოლასა და ჭიორაში, საერთო ფართით 450კვ.მ. მოხდა სახაზოს მთამდე და საჯვარემდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, მოეწყო ტურისტული ბილიკები, თავშესაფრები და მანიშნებლები. ამის მიუხედავად, ონში მოუწესრიგებული ინფრასტრუქტურა და სასტუმროების, კვების ობიექტებისა და ტურისტული პროდუქტების ნაკლებობა, ტურიზმის განვითარებისათვის ძირითად გამოწვევად რჩება. მნიშვნელოვანია ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ძეგლების, ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნების, ქუჩების სახელდება და აბრების განთავსება, ტურისტული პროდუქტების შექმნა და რეკლამირება, არაერთჯერადი კულტურული ღონისძიებების მოწყობა.

სტრატეგიის მომზადების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული შეხვედრებისას ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი გამოწვევა გამოიკვეთა. საჩხერე-ონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშნელობის გზის მშენებლობამ ახალი შესაძლებლობები შექმნა შქმერისა და ამ გზაზე განლაგებული სოფლებისთვის. იმავდროულად, შქმერისა და მრავალძალის განვითარება ერთიან კონტექსტში აღქმება ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისთვის, ხოლო მარგანეცის მოპოვებისთვის გაცემული ლიცენზიები და პოტენციურად, კარიერული წესით მარგანეცის მოპოვების პერსპექტივა მიიჩნევა როგორც მნიშნელოვანი საფრთხის შემცველი ადგილობრივი ეკოსისტემისა და ტურიზმის განვითარებისთვის.

მუნიციპალიტეტის ტურისტული სექტორის წარმომადგენლებისთვის, დონორების მხარდაჭერით პერიოდულად ტარდება ტრენინგები. თუმცა ტურიზმის სექტორში მომსახურების ხარისხი კვლავ გამოწვევად რჩება. ა(ა)იპ „ონის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში“ შესაძლებელია დეტალური ინფორმაციის მოძიება ონის მუნიციპალიტეტში

[32] ხელმისაწვდომია: https://mrdi.gov.ge/ka/about/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98

არსებული ტურისტული სანახაობების შესახებ. ონის შესახებ ვიდეო-რგოლები განთავსებულია ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ოფიციალურ facebook-გვერდზე. ონის 8 ტურისტული მარკირებული მარშრუტი განთავსებულია ვებ-გვერდზე www.wikiloc.com; ონის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე www.Travel.ge28; თუმცა, აღსანიშავია, რომ მუნიციპალიტეტის ტურისტული პროდუქტების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა ენაზე ხელმისაწვდომი არ არის.

ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი გეგმის გაანგარიშებით, მუნიციპალიტეტში დღე-ღამეში 300 ტურისტის შემთხვევაში, მათ მომსახურებას დასჭირდება 150 განთავსების ობიექტი, 90 კვების ობიექტი, 150 ტურიზმისთვის აუცილებელი სხვა ობიექტი (სახელოსნო, მარანი, ფერმა, ველოსიპედების გაქირავება, ჯომარდობა, სპორტული გასართობი, ა.შ.), მინიმუმ 1 220 დასაქმებულით.

ტურიზმის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ონის მუნიციპალიტეტის მუზეუმებმა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. 1991-2009 წლებში მომხდარი მიწისძვრების შედეგად, მუზეუმის შენობა ავარიულია და ვერ ფუნქცონირებს სრული დატვირთვით. მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, მუზეუმი ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, შეგროვებას, აღრიცხვას, დაცვას, შესწავლას, ექსპონირებას და პოპულარიზაციას. მუზეუმში დაცული არქეოლოგიური მასალა მოიცავს ქვეყნის ისტორიულ-კულტურული განვითარების სხვადასხვა პერიოდს, კერძოდ, ქვის ხანიდან გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით. მუზეუმის საცავებში, დღეის მდგომარეობით, დაცულია 14,252 ექსპონატი, მათი უმრავლესობა განეკუთნება ბრინჯაოს პერიოდს. 2022 წელს დასრულდა რაჭის ახალი მუზეუმის შენობის მშნებელობა, რომლის გახსანც იგეგმება მიმდინარე წელს, სადაც არსებული მუზეუმი განაგრძობს ფუნქციონირებს ეროვნული მუზეუმის დაქვემდებარებაში. გასულ წელს მუზეუმს 1250 ვიზიტორი ჰყავდა.

სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში ცნობილი დუროიანი სახლებიდან მხოლოდ ერთია რესტავრირებული.

პროექტის “მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე” ფარგლებში ჩატარდა ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის მიზანშეწონილობის კვლევა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა როგორც პოტენციალი, ასევე გამოწვევები ამ მიმართულებით. გამოწვევებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზოგადად მხარის დაბალ ტურისტულ ცნობადობას, ტურისტული პროდუქტების ნაკლებობასა და მაღალმხარჯველობითი უნარის მქონე ვიზიტორების ნაკლებობას. კვლევამ ასევე გამოავლინა აცდენა არსებულ ტურისტულ პაკეტებსა და ვიზიტორებს შორის, რომლისთვისაც ეს პაკეტებია განკუთვნილი. ასევე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, ისევე როგორც მთლიანად რაჭა-ლეჩხუმის მხარე ნაკლებად ხვდება შემომყვანი ტურისტული ოპერატორების შეთავაზებების არეალში, რაც ერთი მხრივ განპირობებულია ტურისტული ინფრასტრუქტურისა და შეთავაზებების

გაუმართაობასთან და ტურისტულ გამოფენებზე, ქვეყნის მიერ ორგანიზებულ ტურისტულ საინფორმაციო კამპანიებში ამბროლაურისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის გაუთვალისწინებლობით.

8.2. ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულების შეჯამება

ონის მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი იყოს ტურიზმის დანიშნულების ადგილი წელიწადის ოთხივე დროს, თუმცა სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის ამ პოტენცალის მხოლოდ მინიმალური შესაძლებლობაა ათვისებული - სეზონი მოკლეა, ძირითადად გვიან გაზაფხულიდან (მაისი) იწყება და მთავრდება ადრე შემოდგომას (სექტემბერში); ამასთანავე, მოგზაურთა რაოდენობაც ძალიან მწირია და შესაბამისად, სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის ტურიზმის სექტორის წვლილი ადგილობრივ ეკონომიკაში მცირეა.

ონს აქვს უნიკალური ბუნება და ბუნების, კულტურისა და ისტორიის მდიდარი ძეგლები, რომელიც მას მიმზიდველს შეიძლება ხდიდეს სხვადასხვა ტიპისა და ინტერესის მქონე მოგზაურისთვის. ქალაქი ონი ცნობილი იყო ებრაული უბნით, სადაც დღესაც ფუნქციონირებს სინაგოგა, თუმცა ებრაელი მოსახლეობის მხოლოდ ძალიან პატარა ჯგუფია შემორჩენილი ადგილზე და ებრაული უბნის დამახასიათებელი შენობა-ნაგებობებიც საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია.

მიუხედავად ტურისტულად მიმზიდველი გარემოსა, ონის მუნიციპალიტეტს ახასიათებს ბუნებრივი სტიქიები და სეისმური აქტივობა და **2023 წელს კურორტ შოვში დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ უფრო დაამძიმა ტურიზმის სექტორის მდგომარეობა.**

ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმის მიმართულებით, გარდა ბუნებრივი მოვლენებისა, სხვა მრავალი გამოწვევა არსებობს, მათ შორის გაუმართავი ან/და არარსებული ტურისტული ინფრასტრუქტურა - სასტუმროების ნაკლებობა, ქსელური სასტუმროების არარსებობა, კვების ობიექტების ფაქტობრივი არარსებობა, ტრანსპორტის სიმცირე, განსაკუთრებით მაღალმთიან/მოშორებულ სოფლებში, ტურისტული ინფორმაციისა და კვალიფიციური გიდების ნაკლებობა, და სხვა მრავალი. იმავდროულად, 2023 წელს შოვში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ფაქტობრივად არ წარმართულა კრიზისული საინფორმაციო კამპანია, რომელიც მოგზაურთა თავდაჯერებულობის გაზრდაზე იქნებოდა ორიენტირებული.

საერთო ჯამში, მიუხედავად მაღალი პოტენციალისა, ონის მუნიციპალიტეტი ტურიზმის განვითარების კუთხით ჯერ კიდევ დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

8.3. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- უნიკალური ბუნება, ტრადიციები, ისტორია;
- ადგილობრივი ებრაელების ისტორია და შემორჩენილი კულტურული მემკვიდრეობა;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემო;
- ტურისტული ლოკაციების სიმრავლე;
- მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- ელექტროენერგია სრულად მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას;
- რეკრეაციული ზონების სიმრავლე;
- მუნიციპალიტეტში და მთლიანად რეგიონში პირველი ქსელური სასტუმროს „რედისონის“ მშენებლობა.

სუსტი მხარეები

- ტურისტული სეზონის მხოლოდ მცირე ნაწილის ათვისება;
- ადამიანური რესურსების სიმცირე;
- მწირი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ;
- ტურისტებისთვის საჭირო ინფორმაცია არ არის თავმოყრილი ერთ ფიზიკურ ან/და ელექტრონულ ადგილას;
- მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიის, მათ შორის 2023 წელს შოვის ტრაგედიის შემდეგ კრიზისული საინფორმაციო კამპანიის არარსებობა;
- კულტურული/ისტორიული ძეგლების სავალალო მდგომარეობა;
- მუნიციპალიტეტის ტურისტული და ისტორიული ძეგლების ლოკაციების დაბალი ცნობადობა;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა;
- გასართობი და რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობა;
- საოჯახო სასტუმროების სიმცირე, ქსელური სასტუმროების არ არსებობა;
- გიდების ნაკლებობა;
- ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულთა მიერ უცხო ენების არცოდნა/არა სათანადო დონეზე ცოდნა;
- მუნიციპალური ტრანსპორტის არასაკმარისი რაოდენობა და ავტომობილის გარეშე ჩამოსული ტურისტებისათვის სხვადასხვა ტურისტულ ლოკაციებზე გართულებული გადაადგილება;
- კვების ობიექტების არარსებობა;

	• მუნიციპალიტეტის ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში სასმელი წყლის არასტაბილური მიწოდება; • ტურიზმის ბიზნესში ჩართული სხვადასხვა სექტორების არაკოორდინირებული მუშაობა; • ტურისტების შემომყვან კომპანიებთან მუშაობის გამოცდილების ნაკლებობა; • სისტემატიური კულტურული ღონისძიებების ნაკლებობა; • ტურისტულ გამოფენებზე მუნიციპალიტეტის ტურიზმის მიმართულების არყოფნა.
შესაძლებლობები	***საფრთხეები***
• ტურიზმის განვითარება საქართველოში, ტურიზმის სტრატეგიისა და ეკო-ტურიზმის განვითარების სტრატეგიის არსებობა; • ტურისტული სექტორის დიჯიტალიზაცია; • საქმიანი, აგრო და ეკო ტურიზმის განვითარება; • ტურიზმის სფეროში დასაქმებული გიდების გადამზადების შესაძლებლობა; • ტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხრიდან გრანტების ხელმისაწვდომობა; • მუნიციპალიტეტის ტურისტული დანიშნულების ლოკაციებისა და პროდუქტების პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე; • კლასტერების ჩამოყალიბება (ტურიზმისა და სარესტორნო სფეროში) და მათი განვითარება; • საჯარო და კერძო თანამშრომლობის პლატფორმის ფარგლებში პროექტების დაფინანსება;	• მაღალი სეისმური აქტივობა და ბუნებრივი კატასტროფები; • მასშტაბური მიგრაცია; • პანდემია; • რუსეთის ფედერაციასთან და ოკუპირებულ ტერიტორიებთან სიახლოვე; • ტყის ხანძრები და მცენარეული დაავადებების გავრცელება; • დეპოპულაციის სპირალის განვითარება; • მაღალმთიანი რეგიონებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებისა და დაფინანსების შემცირება-გაუქმება.

- საერთაშორისო ვიზიტორების მზარდი რიცხვი საქართველოში.

8.4. ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიმართულებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

ონის მუნიციპალიტეტს აქვს ტურიზმის განვითარების პოტენციალი, თუმცა მრავალი გამოწვევა ხელს უშლის მის სრულფასოვან ფუნქციონირებას. ძირითადი პრობლემებია მოკლე ტურისტული სეზონი, სასტუმროებისა და კვების ობიექტების სიმცირე, და მომსახურების სფეროში დასაქმებული კადრების დაბალი კვალიფიკაცია. ასევე, ტრანსპორტისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, ცნობადობის პრობლემა და დიჯიტალიზაციის არქონა ზღუდავს ტურისტულ მომსახურებას. გასართობი სივრცეების, ფესტივალებისა და სამახსოვრო ნაწარმის სიმცირე, ასევე მუზეუმის არასრული ფუნქციონირება კიდევ უფრო ამცირებს ტურისტულ გამოცდილებას. ამ გამოწვევების გადასაჭრელად საჭიროა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ტურისტული სერვისების განვითარება. ამ გამოწვევების ფონზე, აუცილებელია სტრატეგიული მიდგომების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება ტურიზმის პრობლემების მოგვარებაზე.

2024-2028 წლებისთვის **სტრატეგიული მიზანი** ამ მიმართულებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მომსახურების ხარისხის ამაღლებას, კულტურული და ბუნებრივი შესაძლებლობების მდგრად პოპულარიზაციას, და ტურიზმის სეზონურობის პრობლემის მოგვარებას, რათა მუნიციპალიტეტი გახდეს მიმზიდველი ტურისტებისთვის მთელი წლის განმავლობაში.

ამ მიზნის მისაღწევად, შემდეგი სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა:

ამოცანა	დასაბუთება
ამოცანა #1: ონის მუნიციპალიტეტის, როგორც ოთხი სეზონისა და მრავალფეროვანი ტურისტული დანიშულების ადგილის, ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა	ონის მუნიციპალიტეტის ტურიზმის სექტორის ერთ-ერთი გამოწვევაა მისი ცნობადობა მცირე მასშტაბი და 2023 წელს შოვში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ტურიზმისთვის არახელსაყრელ კონტექსტში მუნიციპალიტეტის წარმოჩენა, რაც ხელს უშლის არამხოლოდ ახალი ვიზიტორების მოზიდვას, არამედ ჩვეულ მოგზაურებში ონის მიმართ თავდაჯერებულობის

	გაზრდას, რაც შესაბამისად აისახება ტურიზმის სექტორის განვითარებაზე. ეს განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის ხარისხიანი საინფორმაციო მასალების არსებობით, გავრცელებითა და თავმოყრით როგორც ფიზიკურ, ისე ელექტრონულ სივრცეში. ამ მიმართულებაზე ფოკუსირებამ ხელი უნდა შეუწყოს მუნიციპალიტეტისა და მისი ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდას, რაც მოსალოდნელია, რომ გადაითარგმნება მრავალფეროვანი ინტერესებისა და მიზნების მქონე ტურისტების რაოდენობის გაზრდაში.
ამოცანა #2: ტურიზმის სექტორში დასაქმებული/ტურიზმის სექტორით დაინტერესებული პირების შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება, მათ შორის ისეთ საკითხებში, როგორიცაა მდგრადი ტურიზმი და ბუნებრივ საფრთხეებზე რეაგირება	ტურიზმის მიმართულების განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სექტორში მომსახურებისა და პროდუქტების ხარისხის გაზრდა. სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის ამ მიმართულებით ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული სექტორი მწვავე დეფიციტს განიცდის - ეს შეეხება როგორც ადგილობრივ გიდებს (რაოდენობრივად და ხარისხობრივად), ასევე ტურიზმის სექტორში მომსახურების ყველა მიმართულებას. ტურიზმის სექტორის განვითარების კვალდაკვალ მნიშვნელოვანია, ყველა დაინტერესებული მხარე სათანადოდ ითვალისწინებდეს ტურიზმის განვითარების მოსალოდნელ როგორც დადებით, ასევე უარყოფით შედეგებს (ნარჩენების რაოდენობის ზრდა, დატვირთვა ბუნების ძეგლებზე, ბუნების ძეგლების ჭარბი განვითარების პერსპექტივები და სხვა). შესაბამისად, ამ განვითარების გარეშე ცნობადობის გაზრდასა და ტურისტების მოზიდვაზე მუშაობა გრძელვადიანი შედეგს ვერ გამოიღებს, ვინაიდან სათანადო ხარისხის ვერ-უზრუნველყოფა გამოიწვევს მუნიციპალიტეტის რეპუტაციის შელახვას და ხელს შეუშლის განმეორებითი და ახალი ვიზიტორების მოზიდვას. ეს სტრატეგიული ამოცანა სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობისკენაა მიმართული.
ამოცანა #3: ტურისტული	ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სექტორი

პროდუქტებისა და ტურიზმის სექტორში ბიზნესის მდგრადი და კლიმატ-გონივრული განვითარების ხელშეწყობა	საკმაოდ შეზღუდულადაა განვითარებული - როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად. ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ამ და მომიჯნავე სექტორებში ახალი ბიზნესების/პროდუქტების შექმნა და არსებულის განვითარება, რაც საჭიროებს ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად არ არსებობს ცოდნა იმის შესახებ, თუ რა არის ტურისტული პროდუქტები და რა მნიშნელობა აქვს მათ არსებობას ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის. ამ მიმართულებით ფოკუსირება ემსახურება ტურიზმის სექტორში პროდუქტებისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას, რათა ერთიმხრივ უფრო მრავალფეროვანი გახდეს ტურიზმის სექტორი ონის მუნიციპალიტეტში და მეორემხრივ, ამაღლდეს შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხი, რაც შედეგად აისახება როგორც ტურისტული ბიზნესის შემოსავლიანობაზე, ასევე მაღალგადახდისუნარიანი ვიზიტორების მოზიდვაზე.

9. სტრატეგიული ინტეგრაცია

ონის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში გაანალიზებული და გათვალისწინებული იყო შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ ონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი
- ✓ საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025
- ✓ საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030
- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027 წლებისთვის
- ✓ კულტურის სტრატეგია 2025
- ✓ ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია
- ✓ საქართელოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025

ზემოხსენებული დოკუმენტების ანალიზის მიზანი იყო მათი ინტეგრაცია ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში, სინერგიის ეფექტის გაძლიერება და იმის უზრუნველყოფა, რომ ადგილობრივი განვითარების სტრატეგია წინააღმდეგობაში არ მოდის შესაბამის სტრატეგიებთან. ამასთანავე, ვინაიდან ადგილობრივი განვითარების სტრატეგია შემუშავებულია ქვევიდან ზევით მიდგომით, სტრატეგიით განსაზღვრული ხედვა, ამოცანები და აქტივობები ეფუძნება ადგილობრივი მოსახლეობისა და აქტორების ჩართულობით გამოვლენილ საჭიროებებსა და შესაძლებლობების გამოყენების გზებს, ადგლობრივი განვითარების მხარდასაჭერად.

10. მონაწილეობითი დაგეგმვა

10.1. დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა

ონის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელია ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მმართველი საბჭო. გამომდინარე იქიდან, რომ ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი დაფუძნდა 2024 წელს და წინამდებარე სტრატეგია წარმოადგენს პირველ ასეთ დოკუმენტს ონის LAG-სთვის, დოკუმენტის შემუშავების პროცესში მმართველ საბჭოს დახმარებას უწევდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) გუნდი და პროექტის მიერ დაქირავებული კონსულტანტი.

მოსახლეობის გამოკითხვა

სტრატეგიის მომზადებას წინ უძღოდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც სწავლობდა სამიზნე რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განწყობებს, მოსაზრებებს, გამოცდილებებსა და საჭიროებებს. კვლევისას გამოყენებული იყო რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები და მისი შედეგები რეპრეზენტატულია როგორც რეგიონის, ასევე თითოეული მუნიციპალიტეტის დონეზე.

ონის მუნიციპალიტეტში სულ გამოიკითხა მუნიციპალიტეტის 201 მაცხოვრებელი - 56.2% სოფლად მცხოვრები და 43.8% ქალაქი ონისმაცხოვრებელი. გამოკითხულთა 69.7% წარმოადგენდნენ ქალები, ხოლო 30.3% - კაცები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მოსახლეობის საქმიანობასთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ნდობის, საჯარო სერვისებით კმაყოფილების, პრიორიტეტული სერვისების, ბიზნესის დაწყება-წარმოებასთან დაკავშირებული გამოცდილებისა და შემაფერხებელ ფაქტორებთან დაკავშირებული საკითხები. კვლევის მიგნებები გათვალისწინებული იყო წინამდებარე სტრატეგიის როგორც სიტუაციური ანალიზის, ასევე სტრატეგიული ხედვისა და პრიორიტეტების განსაზღვრისა და აქტივობების დაგეგმვის პროცესში.

ახალგაზრდების ჩართულობა

სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ ონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები. დისკუსია გაიმართა ადგილობრვი სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეებთან, ასევე 23 წლამდე ახალგაზრდებთან. დისკუსიის მიზანი იყო მათი საჭიროებების, წუხილებისა და სამომავლო გეგმების, ისევე როგორც მუნიციპალიტეტში

ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ მსჯელობა. დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა კონკრეტული საჭიროებები და წუხილები, რომლებიც ადგილობრივ სკოლის მოსწავლეებს და ახალგაზრდებს აქვთ, ისევე როგორც მათი გრძელვადიანი გეგმები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში ონის მუნიციპალიტეტში (მათ შორის, სკოლის მოსწავლეების შემთხვევაში - სკოლის დასრულების შემდგომ) დარჩენას არ მოიაზრებდა.

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთობლივი მსჯელობა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბიზნესის წარმომადგენლები სხვადასხვა სფეროებიდან - სოფლის მეურნეობა და თაფლის წარმოება. მსჯელობის მიზანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად ონის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების, საფრთხეებისა და შესაბამისი დარგების განვითარების პერსპექტივების განხილვა.

დისკუსიისას გამოიკვეთა კონკრეტული საკითხები, რომლებიც ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების მოსაზრებით, აფერხებს და საფრთხეს უქმნის ბიზნესის განვითარებას. მსჯელობა, ასევე, შეეხო სხვადასხვა ტიპის საგრანტო და ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამებს, რომლებიც მუნიციპალიტეტშია ხელმისაწვდომი, მეწარმეების გამოცდილებას ამ პროგრამებით სარგებლობის შესახებ და პროგრამების შედეგიანობას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ჭრილში.

LAG-ის მმართველი საბჭო და მუნიციპალიტეტის აქტიური მაცხოვრებლები

ვიდრე ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი დაფუძნდებოდა, 2023 წელს, ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში, ჩატარდა 4-დღიანი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ ონის მუნიციპალიტეტიდან იმ პირთა ნაწილი, ვინც ინტერესი გამოხატა ონის LAG-ის წევრობის შესახებ. ტრენინგში მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობის გამო, ტრენინგში მონაწილეობისთვის შეირჩნენ ის პირები, ვინც ყველაზე ადრე დააფიქსირეს ტრენინგში მონაწილეობის სურვილი. ტრენინგი შეეხო LEADER მიდგომის საკვანძო საკითხებს, მათ შორის, ამ მიდგომის პრინციპებსა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას.

ონის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მმართველი საბჭო აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში. პირველი შეხვედრა დაეთმო ონის მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკური სიტუაციური ანალიზის წარმოებას, ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა-შეთანხმებასა და ამ მიმართულებების ჭრილში SWOT ანალიზის წარმოებას. ვინაიდან მსჯელობა საკმაოდ დატვირთული იყო, პირველი შეხვედრა დაეთმო SWOT ანალიზს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და

სპორტის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულების SWOT-სთვის ცალკე ორი შეხვედრა დაიგეგმა, რომელიც დისტანციურ ფორმატში ჩატარდა. SWOT ანალიზი, რომელიც მმართველ საბჭოსთან ერთად შემუშავდა შემდგომ, შეივსო სიტუაციური ანალიზისა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან გამოკვეთილი საკითხებით, რომელიც შეჯამებული სახით აისახა სტრატეგიის დოკუმენტში.

სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია განხილული იყო მმართველი საბჭოს მიერ, ვიდრე მოხდებოდა მისი საჯარო დისკუსიების ორგანიზება. განხილვის შედეგად სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიამ განიცადა მცირე ცვლილებები, ხოლო, მას შემდეგ, რაც ყველა საჭირო ცვლილება იქნა ასახული, მმართველი საბჭოს ორგანიზებით ჩაინიშნა და ჩატარდა საჯარო განხილვები მოსახლეობასთან ქალაქ ონში და სოფლებში - ღარი, ჯინჭვისი და უწერა. გარდა ფიზიკური შეხვედრებისა, სტრატეგია live რეჟიმში განხილული იყო სათემო რადიოს „ამბროლაურის ხმა“ გადაცემაში, რომლის მიმდინარეობისას მსმენელებს, ასევე, ჰქონდათ შესაძლებლობა, დაესვათ შეკითხვები და გამოეთქვათ მოსაზრებები. ამასთანავე, სტრატეგიის დოკუმენტი და რადიო გადაცემის ჩანაწერი დაიდო ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის სოციალური მედიის გვერდზე, სადაც მოსახლეობას ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდნენ დოკუმენტს და გამოეთქვათ თავიანთი შენიშვნები და სურვილები, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში.

შეხვედრების პარალელურად, ონის LAG-ის წევრებმა და პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ბენეფიციარებმა ონის მუნიციპალიტეტიდან, SMS შეტყობინებით მიიღეს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ბმულები, რომ მათ ჰქონოდათ დოკუმენტების გაცნობისა და თავიანთი მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობა ონის LAG-ის მმართველი საბჭოსთვის.

ჩატარებული შეხვედრებისა და რადიო გადაცემის შედეგად მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირი გათვალისწინებული იქნა სტრატეგიაში. სტრატეგიის პროექტის ბოლო ვერსია განთავსდა ონის LAG-ის Facebook-გვერდზე, რომ მმართველი საბჭოს მიერ სტრატეგიის დამტკიცებამდე, ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონოდა სტრატეგიის საბოლოო ვერსიის გაცნობისა და საკუთარი მოსაზრების გაზიარების შესაძლებლობა.

11. მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება

მონიტორინგისა და შეფასების მიზანია სტრატეგიის მიზნების მიღწევასთან მიახლოების კონტროლი, ამოცანების შესრულების უზრუნველყოფა და სიტუაციის შესაბამისად საჭირო ცვლილებების დროულად ასახვა ონის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში.

მონიტორინგი და შეფასება ოთხ-დონიანია და შემდეგი სტრუქტურითაა წარმოდგენილი:



I. პირველი და ყველაზე მაღალი დონის შეფასება ეხება სტრატეგიით განსაზღვრულ **ხედვას** და რამდენად უახლოვდება ონის მუნიციპალიტეტი ამ ხედვის რეალიზებას;

II. მეორე დონის შეფასება მოიცავს **სტრატეგიულ მიმართულებებს**, რაც ფარავს თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრულ მიზანთან მიახლოებას;

III. მესამე დონე ეხება სტრატეგიული მიმართულებების ქვეშ არსებული **ამოცანების** შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივობების შესრულებასთან;

IV. მეოთხე დონე ეხება **აქტივობების** განხორციელებისა და შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.

I დონის შეფასება - სტრატეგიით განსაზღვრული ხედვა

სტრატეგიით განსაზღვრულ ხედვასთან მიახლოება ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. შეფასება მხედველობაში იღებს სტრატეგიით გათვალისწინებულ სტრატეგიულ მიმართულებებს, მიმართულებების ქვეშ არსებულ ამოცანებს და მათ ქვეშ განხორციელებულ აქტივობებს და აფასებს, რამდენად მიაახლოვა სტრატეგიით

გათვალისწინებულმა ღონისძიებებმა ლენტეხის მუნიციპალიტეტი ამავე სტრატეგიით განსაზღვრულ ხედვას.

შეფასება, ასევე, მიზნად ისახავს სტრატეგიაში შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირებასა და საჭიროების შემთხვევაში, ამ ცვლილებების ასახვას სტრატეგიის დოკუმენტში.

II დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები

მეორე დონის შეფასება მოიცავს **სტრატეგიულ მიმართულებებს** და მათთვის განსაზღვრულ მიზნებს. შეფასების მიზანია იმის განსაზღვრა, რამდენად უახლოვდება ლენტეხის მუნიციპალიტეტი თითოეული სტრატეგიული მიმართულებისთვის განსაზღვრული მიზნის მიღწევას. შეფასება ასევე მიზნად ისახავს სტრატეგიაში შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირებასა და საჭიროების შემთხვევაში ამ ცვლილებების ასახვას სტრატეგიის დოკუმენტში.

III დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები

მესამე დონის მონიტორინგი და შეფასება შეეხება სტრატეგიული მიმართულებების ქვეშ არსებულ ამოცანებს. მონიტორინგისა და შეფასების მაჩვენებლები მოცემულია შესაბამისი მიმართულების სამოქმედო გეგმის ცხრილში (იხ. ცხრილები #...).

IV დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები

მეოთხე დონის მონიტორინგი და შეფასება შეეხება სტრატეგიული მიმართულებების ქვეშ არსებულ აქტივობებს. მონიტორინგისა და შეფასების მაჩვენებლები მოცემულია შესაბამისი მიმართულების სამოქმედო გეგმის ცხრილში (იხ. ცხრილები ...).

მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეულები

ცხრილი #6 მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეულები და პერიოდულობა

მონიტორინგისა და შეფასების დონე	მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეული	ანგარიშების მიმღები/განმხილველი ერთეულ(ებ)ი	პერიოდულობა
I დონე	მმართველი საბჭო	საერთო კრება და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები	წელიწადში ერთხელ
II დონე	მიმართულებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი	მმართველი საბჭო	წელიწადში ერთხელ
III დონე	მიმართულებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი	მმართველი საბჭო	6 თვეში ერთხელ
IV დონე	მიმართულებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი	მმართველი საბჭო	3 თვეში ერთხელ